ინვესტორთა საბჭოს სამდივნო

ინვესტირების გენდერული ასპექტები

სამუშაო დოკუმენტი

UK International Development
Partnership | Progress | Prosperity

European Bank
for Reconstruction and Development

Investors Council

UN WOMEN

ავტორი: ანა ილურიძე
საერთაშორისო ექსპერტი: ჯიოტი აგარვალა

შენიშვნა: ანგარიში მომზადდა ინვესტორთა საბჭოსთვის გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისთან თანამშრომლობითა და ამავე ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით. ამ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, დიდი ბრიტანეთის მთავრობის ან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ოფიციალურ პოზიციას. ამ ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციასა და მოსაზრებებზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი.

სარჩევი

წინასიტყვაობა ინვესტორთა საბჭოსგან **4**
წინასიტყვაობა გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისისგან **5**
1. შესავალი: გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირებისთვის საფუძვლის შექმნა საქართველოში **6**
1.1. GLI ჩარჩოს საჭიროება საქართველოში: საფუძველი და გადაუდებლობა 6
1.1.1.საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩო (GGIRF): მიზანი და გეგმა 7
1.2. ამეთოდოლოგიის მიზანი, ამოცანები და მოქმედების არეალი 8
1.3. სამიზნე აუდიტორია 9
1.4. მეთოდოლოგია: სამაგიდე კვლევა, ინტერვიუები ძირითად რესპოდენტებთან (KLL), საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა 9
1.5. ძირითადი ტერმინების განმარტებები 10
სქოლიო: 11
2. ქართული კონტექსტის გააზრება: საინვესტიციო ლანდშაფტი და გენდერული დინამიკა **12**
2.1. საქართველოს საინვესტივიო გარემო: რა ვითარებაა ახლა 12
2.2. გენდერული თანასწორობა საქართველოში: რა მდგომარეობაა ახლა? 13
2.2.1 ქალების როლი ბიზნესსა და საქმეში 13
2.2.2. გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული კანონები და პოლიტიკები 14
2.2.3. სხვადასხვა სფეროში არსებული სპეციფიკური გენდერული სხვაობები 15
2.2.4. რა გვითხრეს ექსპერტებმა: შეხედულებები ინვესტიციებში გენდერის პრობლემებთან დაკავშირებით 15
2.3. ვინ რას აკეთებს: ძირითადი მოთამაშეები და პროგრამები 16
2.3.1. სამთავრობო სააგენტოები და მათი როლი 16
2.3.2. კერძო საფინანსო კომპანიები: ბანკები, მიკრობანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საინვესტიციო ფონდები 16
2.3.3. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები საქართველოში 17
2.3.4. ქალთა გაძლიერების პრინციპების (WEP) ხელმომწერები 18
2.3.5. გენდერული თანასწორობისთვის მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (CSOs) 18
სქოლიო: 18
3. გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირების (GLI) განსაზღვრა საქართველოს კონტექსტისთვის **20**
3.1. GLI-ის ძირითადი პრინციპები 20
3.2. GLI-ის საერთაშორისო ჩარჩოები: მოკლე მიმოხილვა 20
3.3. GLI-ის მორგება საქართველოზე: რას ნიშნავს ეს პრაქტიკაში 21
3.4. GLI-ის გავრცელებული, საქართველოსთვის რელევანტური სტრატეგიები 22
სქოლიო: 23
4. საქართველოში GLI-ის განხორციელების დასაბუთება და ბიზნესარგუმენტები **24**
4.1. რატომ არის GLI გამართლებული ეკონომიკური თვალსაზრისით 24
რატომ გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირება? 25
4.2. არგუმენტაცია სოციალური ეფექტის სასარგებლოდ 25
4.3. ბიზნესარგუმენტების წარდგენა საქართველოში: კონკრეტული შესაძლებლობები 26
სქოლიო: 27
5. GLI-ის დანერგვა: პრაქტიკული გზამკვლევი ქართველი აქტორებისთვის **29**
5.1. გზამკვლევი სახელმწიფო უწყებებისთვის (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, „აწარმოე საქართველოში“, საპენსიო ფონდი და ა.შ.) 29
5.2. გზამკვლევი კერძო სექტორისთვის (ბანკები, ფინანსური ინსტიტუტები, ინვესტორები) 30
სქოლიო: 32
6. ეფექტის შეფასება: GLI-ის მაჩვენებლები საქართველოსთვის **33**
6.1. შეფასების მნიშვნელობა: ანგარიშვალდებულება, სწავლა, ფასეულობის წარმოჩენა 33
6.2. საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა: IRIS+ და 2X Challenge კრიტერიუმებთან შესაბამისობა 34
6.3. შემოთავაზებული საკვანძო მაჩვენებლები საქართველოსთვის 34
6.4. მაჩვენებლების თავისებურებები სექტორების მიხედვით 35
6.5. გზამკვლევი მონაცემთა შეგროვებისთვის 36
სქოლიო: 37
დანართი 1: საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩო (GGIRF) **38**

წინასიტყვაობა ინვესტორთა საბჭოსგან

ინვესტორთა საბჭო (IC), რომელსაც მხარს უჭერს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და რომელიც ფინანსდება დიდი ბრიტანეთის მთავრობის კარგი მმართველობის ფონდის (GGF) მიერ, არის დამოუკიდებელი პლატფორმა პირადი და საჯარო დიალოგებისთვის. საბჭოს მთავარი მიზანი ბიზნესებს, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს, დონორებსა და საქართველოს მთავრობას შორის მოლაპარაკების წახალისებაა.

ინვესტორთა საბჭო ამჟამად მუშაობს მნიშვნელოვან პროექტზე, რომლის მიზანია გენდერული ასპექტების სიღრმისეული ინტეგრირება საქმიანობის ყველა სფეროში. ამ ძალისხმევის ძირითადი ნაწილია საქართველოს მასშტაბით „ქალების საკუთრებაში არსებული ბიზნესების“ (WOB) განსაზღვრისთვის მკაფიო და თანმიმდევრული წესების შექმნა. ეს უმნიშვნელოვანესი პირველი ნაბიჯი სანდო და შედარებისთვის გამოსადეგი მონაცემების შეგროვებას აადვილებს. აღნიშნული მონაცემები აუცილებელია გააზრებული პოლიტიკების შემუშავებისთვის, რომლებიც ეფექტიანად ასახავს ქალების საკუთრებაში არსებული ბიზნესების კონკრეტულ გამოწვევებს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში.

პარალელურად, ინვესტორთა საბჭო აქტიურად იყო ჩართული გენდერული თანასწორობის მხარდამჭერი ბიზნეს პრაქტიკების წახალისებაში. ISET-ის პოლიტიკის ინსტიტუტთან მნიშვნელოვანი თანამშრომლობის შედეგი იყო საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის ამომწურავი შეფასება გენდერული გავლენის კუთხით (GIA). შეფასების აღმოჩენების ძალიან წაადგა IC-ის საქმიანობას არსებული კანონების განახლების მიმართულებით, რაც გულისხმობდა მეტ ინკლუზიურობას და ბიზნესების მხარდაჭერას, დაენერგათ ისეთი პროგრესული პრაქტიკები, როგორიცაა სავალდებულო გენდერული ანგარიშგება.

აღნიშნული ერთობლივი ძალისხმევა საფუძველს უყრის უფრო დიდი მიზანს: გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირების (GLI) განვითარებას საქართველოში. ისეთი გარემოს შექმნით, სადაც წახალისებულია ეკონომიკაში თანაბარი მონაწილეობა და რესურსების სამართლიანი განაწილება, GLI-ს ქვეყნისთვის ხელშესახები ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია. ეკონომიკური საჭიროებების პასუხად, ინვესტორთა საბჭომ საკუთარ თავზე აიღო საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს შემუშავება და წამოიწყო გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირების განხილვა. ეს არის საქართველოს ეკონომიკურ კონტექსტში ინვესტიციის ამ მნიშვნელოვანი მიდგომის დანერგვის არსებითად პირველი მცდელობა.

ინვესტორთა საბჭო დიდ მადლობას უხდის გაეროს ქალთა ორგანიზაციას საწყის ეტაპზე გაწეული შეუფასებელი მხარდაჭერისათვის. ამ პარტნიორობის შედეგად სიამაყით წარმოგიდგენთ ანალიტიკურ დოკუმენტს, რომელიც ასახავს გამოწვევებს თუ მიღებულ გამოცდილებას და შეისწავლის საქართველოში გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირების მზარდ შესაძლებლობებს.

წინასიტყვაობა გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისისგან

გაეროს ქალთა ორგანიზაცია ძალისხმევას არ იშურებს გენდერული თანასწორობის გაძლიერებისა და ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებისათვის. ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება საქართველოში ქალების ეკონომიკური გაძლიერებაა, რაც მჭიდრო კავშირშია როგორც ეროვნულ პრიორიტეტებთან, ისე მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებთან. ამ ჩარჩოს ფარგლებში გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისი აქტიურად თანამშრომლობს კერძო სექტორთან, რათა გაამყაროს მისი პოტენციალი გენდერული თანასწორობის კუთხით - როგორც სამუშაო ადგილზე, ისე მის ფარგლებს გარეთ; ასევე ხელს უწყობს ქალი მეწარმეებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას. საქართველოში გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIFR) წარდგენით გაეროს ქალთა ორგანიზაცია და ინვესტორთა საბჭო დიდ ნაბიჯს დგამენ საინვესტიციო ლანდშაფტის გადასხვაფერებისკენ; იგულისხმება – მეტი ინკლუზიურობა, სამართლიანობა და გენდერული ასპექტების მნიშვნელობის წინ წამოწევა. ამ ჩარჩოს მიზანია ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობას ახალი ინსტრუმენტის უზრუნველყოფით, რომელიც ბიზნესს გენდერული პრაქტიკების შეფასებასა და დახვეწაში დაეხმარება და ადგილობრივი კონტექსტის გლობალურ სტანარტებთან შერწყმით წაახალისებს უფრო ინკლუზიური ეკონომიკური გარემოს შექმნას.

გაეროს ქალთა ფონდის დახმარებით შეიქმნა რამდენიმე ინოვაციური ინსტრუმენტი და პროგრამა; მაგალითად, რეგიონში პირველი სახელმძღვანელო და სასერტიფიკატო პროგრამა მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიის მიმართულებით (DEI) – გზამკვლევი, რომელიც ბიზნესებს ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებაში ეხმარება, სასერტიფიკატო პროგრამები შრომის თანაბარი ანაზღაურებისა და სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროვების აღმოფხვრის კუთხით, ასევე ტრენინგები ისეთი მნიშვნელოვანი თემების გარშემო, როგორებიცაა გაუცნობიერებელი გენდერული წინასწარგანწყობები, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით განხორციელებული შესყიდვები და სხვა საკითხები, რომლების დამუშავებაც კერძო სექტორს საბაზისო ბიზნესპრაქტიკებში გენდერული თანასწორობის ინტეგრაციაში ეხმარება. ამ ძალისხმევის შედეგად გაიზარდა კერძო სექტორის ცნობიერება და შესაძლებლობები ბიზნესსტრატეგიებსა და ოპერაციებში გენდერული თანასწორობის დასანერგად, მათ შორის იგულისხმება ქალებისთვის ხელსაყრელი სამეწარმეო გარემოს წახალისება.

გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) გააქტიურება აღნიშნული ძალისხმევების ახალ ეტაპზე გადასვლის აღმნიშვნელია. გაეროს ქალთა ფონდი წარადგენს ინვესტირების ადგილობრივი კონტექსტისა და გენდერული ასპექტების გათვალისწინებით შექმნილ სტრუქტურირებულ მიდგომას, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ორგანიზაციის მიზანს – გენდერული თანასწორობა მხოლოდ ფასეულობად კი არ აღიქმებოდეს, არამედ იქცეს საქართველოს საივესტიციო პოლიტიკისა და პრაქტიკის სტანდარტად.

1. შესავალი: გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირებისთვის საფუძვლის შექმნა საქართველოში

1.1. GLI ჩარჩოს საჭიროება საქართველოში: საფუძველი და გადაუდებლობა

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველომ აჩვენა შთამბეჭდავი უწყვეტი ეკონომიკური ზრდა და სტაბილურობა. ეს მაჩვენებლები უფრო მაღალი იყო, ვიდრე მეზობელი ქვეყნების შემთხვევაში [1], [2], [3]. მაგრამ ამის მიუხედავად, ქვეყანაში არსებული შესამჩნევი უთანასწორობები აფერხებს ჭეშმარიტად ინკლუზიურ განვითარებას და ხელს უშლის ეკონომიკური პოტენციალის სრულ რეალიზაციას. ერთ-ერთი საკვანძო სფერო, რომელიც ფრთხილ მიდგომასა და ყურადღებას საჭიროებს გენდერული უთანასწორობაა.

გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირება (GLI) პრობლემების გადაჭრის ახალ გზას გვთავაზობს. ეს საინვესტიციო მიდგომა სისტემური ანალიზის შედეგად ითვალისწინებს გენდერულ ფაქტორებს ინვესტირების პროცესის ყველა ეტაპზე [4]. აღნიშნულ მეთოდს ორი მთავარი მიზანი აქვს, ესენია: გენდერული თანასწორობის აქტიური ხელშეწყობა და კარგი ფინანსური შედეგების მიღწევა. საქართველოში GLI-ის დანერგვის სასარგებლოდ არსებული არგუმენტები ეფუძნება აშკარა სოციო-ეკონომიკურ საჭიროებებს. კვლევები მთელ მსოფლიოში მუდმივად ადასტურებს ეკონომიკურ ჩართულობაში გენდერული სხვაობების აღმოფხვრის საჭიროებას. მაგალითად, მსოფლიოს ქალ და კაც მეწარმეებს თანაბარი შესაძლებლობები რომ ჰქონდეთ, გლობალური ეკონომიკა დამატებით 2.5-დან 5 ტრილიონამდე დოლარით გაიზრდებოდა [5]. კონკრეტულად საქართველოში ჩატარებული კვლევების მიხედვით, მხოლოდ სამუშაო ძალაში ქალების რიცხვის გაზრდით ქვეყნის მშპ 10-11 %-ით გაიზრდება [6], [7].

რა არის გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტიცია (GLI)?

GLI არის ინვესტირების მეთოდი, რომელიც იკვლევს, რა გავლენა აქვს გენდერს ბიზნესებსა და ბაზრებზე. ამ მეთოდის მიზანია მხარი დაუჭიროს კომპანიებს, რომლებიც აძლიერებენ გენდერულ თანასწორობას – ხშირად ქალების მმართველობის წახალისებით, სამართლიანი სამუშაო გარემოს შექმნით ან ქალებისთვის სასარგებლო პროდუქტების შექმნით. GLI-ის მიზანია როგორც ფინანსური მოგება, ისე დადებითი სოციალური ზეგავლენის მოხდენა.

ზოგადი ეკონომიკური მიღწევების გარდა, GLI-ის ჩარჩოს დანერგვა უმნიშვნელოვანესია საქართველოში არსებულ უთანასწორობების დასაძლევად. განათლების სფეროში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ქალები კვლავ აწყდებიან სერიოზულ სირთულეებს დასაქმებისა და ბიზნესის წამოწყების კუთხით [8], [9]. მაგალითად, 2023-ში შრომისუნარიანი ასაკის ქალების მხოლოდ 37.1 % იყო წარმოდგენილი შრომის ბაზარზე, მაშინ, როცა კაცების შემთხვევაში მაჩვენებელი 53.2 % იყო [10]. მაშინაც კი, თუ ქალები დასაქმებულები არიან, ისინი ხშირად ნაკლებს გამოიმუშავებენ – 2023 წელს მათი საშუალო თვიური შემოსავალი კაცების ხელფასის 67.9 %-ს შეადგენდა [11], რაც ნიშნავს, რომ საშუალო საათობრივი სისტემით ხელფასებს შორის განსხვავება 13. 2 % იყო [12]. განსაკუთრებით საგანგაშო ფაქტი ისაა, რომ 25-34 წლის ასაკის ქალების თითქმის ნახევარი არ არის ეკონომიკურად აქტიური. ეს, ძირითადად, იმითაა განპირობებული, რომ რეპროდუქციულ ასაკში მათზე მოდის აუნაზღაურებელი შრომის უდიდესი ნაწილი, იქნება ეს ბავშვების თუ ასაკოვანი ოჯახის წევრების მოვლა [13]. აუნაზღაურებელი საშინაო და ზრუნვის შრომის ეს მძიმე ტვირთი მნიშვნელოვნად ზღუდავს ქალების შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკაში [14], [15].

GLI ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დასაქმების უკეთესი შესაძლებლობების შესაქმნელად ყველასთვის. ამჟამად ქალები არასათანადო რაოდენობით გვევლინებიან ბიზნესის მფლობელებისa და მმართველების როლში [16], [17]. 2023 წელს ბიზნესების მხოლოდ 27 % იყო შექმნილი ქალების მიერ, მაშინ, როცა კაცების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 61 %-ს შეადგენდა [18]. საქართველოში ქალი მეწარმეები ისეთ სერიოზულ გამოწვევებს აწყდებიან, როგორიცაა შეზღუდული წვდომა ფინანსებზე, ინფორმაციაზე, ტექნოლოგიასა და პროფესიულ ქსელებზე; ამას ემატება სოციალური წინაღობები. გარდა ამისა, ინკლუზიის მიზანმიმართული პროგრამების არარსებობის გამო, მათთვის მიწოდების ჯაჭვები და სახელმწიფო შესყიდვები დიდწილად მიუღწეველი სფეროებია. აღნიშნული განსხვავება ხაზს უსვამს ქალი მეწარმეების მიზნობრივი მხარდაჭერის აშკარა საჭიროებას. GLI-ის კონცეფცია კარგად ერგება საქართველოს სახელმწიფოებრივ მიზნებს. ბიზნესის ფლობის, ამ სფეროში დასაქმებისა და მმართველობის შესახებ დეტალური გენდერულად სპეციფიკური მონაცემების ნაკლებობა და გენდერული ინკლუზიის სტანდარტული განმარტებების არარსებობა [19] მიგვითითებს აშკარა სტრუქტურირებული GLI-ის ჩარჩოს აშკარა საჭიროებაზე. ამგვარი მიდგომა ორგანულად ერგება ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნებს (SDG) [20] და მოქმედ სახელმწიფო პოლიტიკებს ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიმართულებით [21].

1.1.1. საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩო (GGIRF): მიზანი და გეგმა

საქართველოს გენდერულად ინკლუზიურად ანგარიშგების ჩარჩო (GGIRF) 2025 წლის მარტში შეიქმნა მნიშვნელოვანი ექსპერტული დასკვნების საფუძველზე. მსჯელობისას გამოაშკარავდა, რომ საქართველოში არსებული მიდგომა ბიზნესისადმი მნიშვნელოვან გენდერულ სხვაობებს ავლენს. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ არსებობს გენდერულად სპეციფიკური მონაცემების ზოგადი ნაკლებობა, შესაბამისად, ბუნდოვანია, ვის ეკუთვნის ბიზნესები, ვინ არის დასაქმებული და ვინ მუშაობს მმართველ პოზიციებზე [19]. მათ ასევე ხაზი გაუსვეს შრომის სამუშაო ძალაში ქალთა ჩართულობის ზრდის გადაუდებელ აუცილებლობას, რაც მჭიდრო კავშირშია ბავშვებსა და ხანდაზმულებზე ზრუნვის ხარისხიანი სერვისების შექნასთან [22]. და ბოლოს, გამოიკვეთა, რომ ინვესტიციებში გენდერის ინტეგრაციისთვის აუცილებელია არსებობდეს სტანდარტული დეფინიციები და ჩარჩო; არსებული სისტემა კი ხშირად საერთოდ არ ითვალისწინებს გენდერულ განსხვავებებს [19].

რატომ არის მნიშვნელოვანი საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩო

GGIRF, როგორც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, მიმართულია მონაცემთა დეფიციტისა და ზრუნვის შრომის ბარიერების გადალახვაზე, წინასწარგანწყობებისა და დისკრიმინაციული პრაქტიკების ლიკვიდაციაზე და კერძო სექტორში გენდერული ინკლუზიის მკაფიო სტანდარტების შემუშავებაზე. ეს მიდგომა საშუალებას გვაძლევს „გენდერულად ნეიტრალური“ (ან „გენდერულად ბრმა“) პოლიტიკები „გენდერზე ორიენტირებულით“ ჩავანაცვლოთ.

GGIRF ჩამოთვლილ საჭიროებებზე დაყრდნობით შეიქმნა, როგორც საკვანძო მნიშვნელობის ინსტრუმენტი საქართველოს უნიკალურ ეკონომიკურ გარემოში გენდერული თანასწორობის შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის [19]. ინსტრუმენტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობას საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების ადგილობრივ კონტექსტთან გაერთიანებით და შექმნას მეტად ინკლუზიური საინვესტიციო გარემო [23]. ჩარჩო იყენებს პრაქტიკულ, შედეგზე ორიენტირებულ მიდგომებს, რომლებიც თანხვედრაშია საქართველოს ეკონომიკურ მიზნებსა და პოლიტიკებთან. GGIRF სამუშაო ადგილზე გენდერული სამართლიანობის მისაღწევად საჭირო მონაცემების შესაგროვებლად სამ ძირითად საყრდენ პრინციპს და შესრულების ძირითად მაჩვენებლებს (KPI) იყენებს [24].

ამ ჩარჩოს განხორციელება ეტაპობრივად მოხდება. მთავარი პირველი ნაბიჯი იყო 2025 წლის ივნისში კერძო სექტორის ლიდერებთან ერთად ჩატარებული ერთდღიანი ვორკშოპი, რომელიც GGIRF-ის ოფიციალურად ამოქმედებას მიეძღვნა. ამის შემდგომ ძალისხმევა მიიმართება იმის გარკვევისკენ, თუ რას ნიშნავს გენდერული ინკლუზია სხვადასხვა ჯგუფებისთვის. ერთ-ერთი საკვანძო მნიშვნელობის ამოცანაა, შეიქმნას რეალური სტიმულები, რათა ბიზნესი უფრო გენდერულად ინკლუზიური გახდეს. პროცესი გულისხმობს მჭიდრო თანამშრომლობას საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან (IFI) და ბიზნესის ისეთ მხარდამჭერ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: EBRD, ADB, GCCI და BAG. და ბოლოს, ინიციატივა დაეხმარება საქართველოს სამთავრობო სააგენტოებს, მაგალითად „საქსტატს“, საჯარო მონაცემების შეგროვებაში და ითანამშრომლებს მათთან, რაც აუცილებელია ჩარჩოს ეფექტიანად განხორციელებისთვის [19].

1.2. ამეთოდოლოგიის მიზანი, ამოცანები და მოქმედების არეალი

ამ გზამკვლევის მეშვეობით უნდა შეიქმნას სრული გეგმა იმისა, თუ როგორ ინტეგრირდება გენდერთან დაკავშირებული ფაქტორები საინვესტიციო გადაწყვეტილებებში და როგორ მოხდება მათი გავლენების ანგარიშგება საქართველოში. ჩვენი მთავარი **მიზანია** გავხადოთ საქართველოს საინვესტიციო სივრცე უფრო ინკლუზიური ყველა გენდერისთვის. ამას მივაღწევთ სახსრების მოძიებით ინვესტიციებითვის, რომლებიც არა მხოლოდ კარგ ფინანსურ შემოსავალს მოიტანს, არამედ აქტიურად წაადგება გენდერული თანასწორობისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების გაუმჯობესებას მთელი საქართველოს მასშტაბით.

ამ მიზნის მისაღწევად გვაქვს რამდენიმე ძირითადი **ამოცანა:** გვსურს სამთავრობო ორგანოებსა და კერძო კომპანიებში **ავამაღლოთ ცნობიერება** გენდერული ასპექტების გათვალისწინებით გონივრული ინვესტირების შესახებ. ასევე, გვსურს კერძო ბიზნესებს მკაფიო ინფორმაცია მივაწოდოთ გენდერულად მგრძნობიარე ინვესტიციების რეალური **დანახარჯებისა და სარგებლის შესახებ.** საკვანძო მიზანია გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირებასთან დაკავშირებული **არაფინანსური ანგარიშგებისთვის** მყარი საფუძვლის შექმნა. ეს ნიშნავს ზუსტი მონაცემების შეგროვების სისტემის დანერგვას, რაც აუცილებელია გონივრული, გენდერულად მგრძნობიარე დაგეგმვისა და ეფექტიანი ქმედებებისთვის. საბოლოოდ, ეს ჩარჩო მიზნად ისახავს დაეხმაროს ინვესტორებსა და ბიზნესებს, გამოავლინონ საჭიროებები, საფუძვლიანად შეამოწმონ მონაცემები და წარმატებით განახორციელონ გენდერულად გონივრული ინვესტიციები სხვადასხვა ინდუსტრიასა თუ აქტივებში. ვიმედოვნებთ, რომ ამით საქართველოში შეიქმნება ხელშემწყობი და აქტიური სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება GLI-ის განვითარება.

გზამკვლევის **მოქმედების არეალი** ფართოა და მოიცავს ბევრ საინვესტიციო სტრატეგიას, მათ შორის ისეთებს, რომლებიც ქალების მიერ მართული ან მათ საკუთრებაში არსებული ბიზნესების მხარდაჭერაზეა კონცენტრირებული, ხელს უწყობს გენდერულ მრავალფეროვნებას მმართველ პოზიციებზე და ზოგადად, შრომის ბაზარზე, ქმნის ღირებულებათა ჯაჭვებს, რომლებშიც ყველა გენდერი ერთიანდება და უზრუნველყოფს პროდუქტებსა და სერვისებს სპეციალურად ქალებისა და გოგონებისთვის. გზამკვლევი გამოსადეგი იქნება დაფინანსების სხვადასხვა ისეთი მეთოდისთვის, როგორიცაა სესხი, კაპიტალი და შერეული მოდელები. ის ასევე რელევანტურია ინვესტიციის ყველა ეტაპზე, იქნება ეს საწყისი შესაძლებლობების მოძიება და საფუძვლიანი შემოწმება თუ პორტფელის მართვა და გავლენის შესახებ ანგარიშგება.

1.3. სამიზნე აუდიტორია

GLI-ის ჩარჩო საგულდაგულოდ არის შემუშავებული სხვადასხვა ჯგუფისთვის, რომელთაგან თითოეული მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში ყველა გენდერის მონაწილეობით ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაში:

წამყვანი **სახელმწიფო უწყებები,** როგორიცაა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MoESD), სსიპ „აწარმოე საქართველოში", სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, სოფლის განვითარების სააგენტო და საპენსიო ფონდი. ეს არის ეროვნული პოლიტიკის ფორმირებისთვის, ახალი ბიზნესის წახალისებისა და საქართველოს განვითარების ძირითადი მიზნების შესაბამისად ინვესტიციების წარმართვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე უწყებები.

კერძო სექტორის წარმომადგენელი სხვადასხვა ერთეულები, მათ შორის კომერციული ბანკები, ფინანსური ინსტიტუტები და ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორები (როგორც კერძო, ისე ინსტიტუციური), რომლებიც უკვე მუშაობენ ან ცდილობენ საქართველოში შემოსვლას. ეს ფართო ჯგუფი ასევე მოიცავს აქტივების მმართველებს, საკონსულტაციო კომპანიებსა და სხვა ფინანსურ შუამავლებს.

ჩვენი აუდიტორიის ცენტრალურ ნაწილს შეადგენენ **ინვესტორთა საბჭოს** წევრები – ეს არის დამოუკიდებელი პლატფორმა, რომელიც ხელს უწყობს საჯარო და კერძო სექტორებს შორის დისკუსიებს. საბჭოს როლი ძალიან მნიშვნელოვანია სასარგებლო განხილვებისა და ცვლილებების ადვოკატირებისთვის, რაც აუმჯობესებს ინკლუზიურ საინვესტიციო გარემოს საქართველოში. საბჭო შედგება მრავალფეროვანი ჯგუფისგან, რომლის წევრებს შორის არიან სამთავრობო უწყებების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა (IFI) და წამყვანი ბიზნესასოციაციების წარმომადგენლები. თითოეულ მათგანს კი თავისი წვლილი შეაქვს მოცემული ინიციატივის განხორციელებაში.

და ბოლოს, **საჯარო მონაცემთა შეგროვების სააგენტოები,** მაგალითად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და საქართველოს ეროვნული ბანკი მთავარი პარტნიორები არიან. მათი ჩართულობა აუცილებელია გენდერულად სპეციფიკურ ფინანსურ მონაცემთა უკეთ შესაგროვებლად, რაც ამ ჩარჩოს ეფექტიანად განხორციელებისა და მისი გავლენის სათანადო მონიტორინგისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის საქმეა.

1.4. მეთოდოლოგია: სამაგიდე კვლევა, ინტერვიუები ძირითად რესპოდენტებთან (KLL), საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა

GLI-ის ჩარჩო ეყრდნობა გულმოდგინე მეთოდს, რომელიც აერთიანებს ვრცელ კვლევასა და მიზანმიმართულ საუბრებს მნიშვნელოვან პირებთან:

პირველ რიგში, ჩავატარეთ საფუძვლიანი **სამაგიდე კვლევა.** ეს გულისხმობდა GLI-ის არსებული საერთაშორისო ჩარჩოების, ანგარიშგების გლობალური სტანდარტების, ევროკავშირის მნიშვნელოვანი რეგულაციების (როგორიცაა ევროკავშირის ტაქსონომია, კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD) და მდგრადი ფინანსების გამჟღავნების რეგულაციის (SFDR) დეტალურ მიმოხილვას. [25], [26], [27]. შედეგად, ჩვენი ჩარჩო მჭიდრო თანხვედრაშია მდგრადი და გენდერულად გონივრული ინვესტიციების საუკეთესო გლობალურ პრაქტიკებთან.

შემდეგ, 2025 წლის მარტში, ჩავატარეთ **ინტერვიუები ძირითად რესპოდენტებთან** (KIIs) –გენდერის საერთაშორისო სპეციალისტებთან. აღნიშნული ინტერვიუები ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა საქართველოსთვის რელევანტური დეტალური ინფორმაციის შესაგროვებლად. გამოვლინდა ისეთი მნიშვნელოვანი ხარვეზები, როგორიცაა გენდერთან დაკავშირებული დეტალური მონაცემების

ნაკლებობა, უკეთესი ზრუნვის სერვისების გადაუდებელი საჭიროება შრომის ბაზარზე ქალების მეტი წარმომადგენლობისთვის და საქართველოში ინვესტიციებში გენდერის ჩართვისთვის სტანდარტული განმარტებებისა და ჩარჩოების მოთხოვნა [28].

ამ ჩარჩოზე მუშაობის ძირითადი პრინციპი **საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაა.** ჩარჩო სპეციალურად ისეა შექმნილი, რომ შეუფერხებლად გაერთიანოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკები და საქართველოს უნიკალური სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა. ის მოიცავს სხვადასხვა საერთაშორისო ინიციატივების ისეთ პრინციპებს, როგორიცაა: გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) [29], IRIS+ ზეგავლენის მეტრიკა [30], 2X Challenge კრიტერიუმები [31], ქალთა გაძლიერების პრინციპების (WEP) გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ჩარჩო [32] და Gender Smart სახელმძღვანელოებით დადგენილი კონცეფციები [33]. ეს მრავალმხრივი მიდგომები უზრუნველყოფს ჩარჩოს სიმტკიცეს თუ ადგილობრივ პირობებთან შესაბამისობას და იძლევა საერთაშორისო პრაქტიკებთან შედარების საშუალებას.

1.5. ძირითადი ტერმინების განმარტებები

იმისათვის, რომ ყველამ გაიგოს და გამოიყენოს ეს ჩარჩო, ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ტერმინის ზუსტი განმარტება:

გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირება (GLI) არის ინვესტირების მეთოდი, რომელიც გააზრებულად ითვალისწინებს გენდერთან დაკავშირებულ ფაქტორებს საინვესტიციო პროცესის განმავლობაში. მეთოდის მთავარი მიზანია გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ამავდროულად, კარგი ფინანსური უკუგების მიღება. არსებითად, GLI მიზნად ისახავს სისტემური გენდერული სხვაობების გააზრებას და აქტიურ გამოსწორებას, რითაც გვთავაზობს მნიშვნელოვან ეკონომიკურ პოტენციალს, იწვევს დადებით სოციალურ ცვლილებებს და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას [34].

გენდერული თანასწორობა – საზოგადოება, სადაც ქალებსა და კაცებს თანაბარი უფლებები, მოვალეობები და შესაძლებლობები აქვთ. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ბიოლოგიურად ერთნაირები არიან, არამედ იმას, რომ მათი უფლებები და შესაძლებლობები არ არის განსაზღვრული ან შეზღუდული მათი ბიოლოგიური სქესით. გენდერული თანასწორობა მოითხოვს, რომ გათვალისწინებული იყოს როგორც ქალების, ისე კაცების განსხვავებული ინტერესები, საჭიროებები და პრიორიტეტები, ასევე აღიარებს ბუნებრივ მრავალფეროვნებას ქალთა და კაცთა ჯგუფებში. ცნობილია, რომ გენდერული თანასწორობა ამცირებს ფინანსურ დანაკარგებსა და სიღარიბეს, ხელს უწყობს პროდუქტიულობის ზრდას, საერთო კეთილდღეობას და მწვანე, ძლიერ და ინკლუზიურ განვითარებას [35].

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება (WEE) ნიშნავს, რომ ქალებს აქვთ ძალა, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით და იმოქმედონ. ტერმინი გულისხმობს მათ შესაძლებლობას, თანაბრად მიიღონ მონაწილეობა არსებულ ბაზრებში, შეიტანონ აზრიანი წვლილი ეკონომიკურ ზრდაში და სამართლიანად ისარგებლონ ამით ისე, რომ აღიარებული იყოს მათი წვლილი და არ შეილახოს მათი ღირსება. WEE ასევე აძლევს ქალებს საშუალებას, მოლაპარაკება აწარმოონ ზრდის სარგებლის უფრო სამართლიან წილზე, აკონტროლონ საკუთარი საწარმოო რესურსები და მართონ საკუთარი დრო, ცხოვრება და სხეული [36].

გენდერი გულისხმობს როლებს, ქცევებს, აქტივობებსა და მახასიათებლებს, რომლებსაც მოცემულ დროს საზოგადოება შესაფერისად მიიჩნევს კაცებისა და ქალებისთვის. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი დასწავლილია უწყვეტი სოციალური პროცესების მეშვეობით, დამოკიდებულია კონკრეტულ კონტექსტსა და დროზე და შეიძლება შეიცვალოს. სწორედ ეს განასხვავებს მათ ფიქსირებული ბიოლოგიური სქესის მახასიათებლებისგან [37].

ქალების მიერ მართული ბიზნესები განისაზღვრება, როგორც კომპანიები, რომლებიც ძირითადად ქალების საკუთრებაშია, სადაც ქალები არიან ძირითად მმართველ პოზიციებზე და/ან დირექტორთა საბჭოში ქალების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე კაცების [37].

სქოლიო:

[1] მსოფლიო ბანკი (2025). საქართველოში სამართლიანი ზრდისთვის ფისკალური რეალობების ნავიგაცია, მსოფლიო ბანკის ჯგუფი.

[2] მსოფლიო ბანკი. (2024). საქართველო: საჯარო ფინანსების მიმოხილვა: ფისკალური პოლიტიკა ინკლუზიური განვითარებისთვის. მსოფლიო ბანკის ჯგუფი.

[3] მსოფლიო ბანკი. (2022). საქართველო - ქვეყნის პარტნიორობის ჩარჩოს პროდუქტიულობისა და სწავლის მიმოხილვა პერიოდისთვის. მსოფლიო ბანკის ჯგუფი.

[4] როგორ განვახორციელოთ ინვესტიცია გენდერული ასპექტების გათვალისწინებით: სახელმძღვანელო განვითარებადი ქვეყნების ბაზრების ინვესტორებისთვის. (2020). [ანგარიში]. ქალებში ინვესტირება.

[5] ბ. ჰერცბერგი და ლ. სისომბატი (რედ). (2016). გენდერულად ინფორმირებული საჯარო-პირადი დიალოგი: პრაქტიკული შენიშვნა ქალი მეწარმეების ხმების ინკლუზიის შესახებ. მსოფლიო ბანკი. (გვ. 13).

[6] GLI-ის ჩარჩოს პროექტი. (2025). გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირების ბიზნესშესაძლებლობები.

[7] მსოფლიო ბანკი. (2022). საქართველო - ქვეყნის პარტნიორობის ჩარჩოს პროდუქტიულობისა და სწავლის მიმოხილვა FY19-FY22 პერიოდისთვის. მსოფლიო ბანკის ჯგუფი. (გვ. 9).

[8] მსოფლიო ბანკის ჯგუფი. (2025). საქართველოს გენდერული ფაქტების ცხრილი. მსოფლიო ბანკის გენდერული მონაცემების პორტალი.

[9-13] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024). ქალები და კაცები საქართველოში: სტატისტიკური გამოცემა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (გვ. 47, 67, 77, 75).

[14] გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2022). ზრუნვის დრო: ქალების აუნაზღაურებული საოჯახო შრომა და უთანასწორობის კრიზისი საქართველოში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია.

[15] გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2022). ზრუნვის დრო: ქალების აუნაზღაურებული საოჯახო შრომა და უთანასწორობის კრიზისი საქართველოში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია.

[16] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024). ქალები და კაცები საქართველოში: სტატისტიკური გამოცემა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (გვ. 99).

[17] მსოფლიო ბანკის ჯგუფი. (2025). საქართველოს გენდერული ფაქტების ცხრილი. მსოფლიო ბანკის გენდერული მონაცემების პორტალი.

[18] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024). ქალები და კაცები საქართველოში: სტატისტიკური გამოცემა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (გვ. 104).

[19] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). თითოეული მიმართულებით განხილული საკითხები.

[20] საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების განახლებული ჩარჩო. (2025). საქართველოს ეროვნული მიზნები და ვალდებულებები მხარს უჭერს გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირებას (GLI).

[21] საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების განახლებული ჩარჩო. (2025). დასკვნა.

[22] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024). ქალები და კაცები საქართველოში: სტატისტიკური გამოცემა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (გვ. 69).

[23] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024). ქალები და კაცები საქართველოში: სტატისტიკური გამოცემა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (გვ. 70).

[24] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024). ქალები და კაცები საქართველოში: სტატისტიკური გამოცემა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (გვ. 50).

[25-27] ბ. ჰერცბერგი და ლ. სისომბატი (რედ). (2016). გენდერულად ინფორმირებული საჯარო-პირადი დიალოგი: პრაქტიკული შენიშვნა ქალი მეწარმეების ხმების ინკლუზიის შესახებ. მსოფლიო ბანკი. (გვ. 25, 21, 4).

[28] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). თითოეული მიმართულებით განხილული საკითხები. [შეხვედრის ჩანაწერები].

[29 -31] GLI-ის ჩარჩოს პროექტი. (2025). GLI-ის ჩარჩოები, სტანდარტები და მაჩვენებლები.

[32] გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2022). WEP-ის გამჭვირვალობისა და ანგარიშგების ჩარჩო.

[33] GLI-ის ჩარჩოს პროექტი. (2025). გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირების შესავალი.

[34] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024). ქალები და კაცები საქართველოში: სტატისტიკური გამოცემა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (გვ. 6).

[35-36] ბ. ჰერცბერგი და ლ. სისომბატი (რედ). (2016). გენდერულად ინფორმირებული საჯარო-პირადი დიალოგი: პრაქტიკული შენიშვნა ქალი მეწარმეების ხმების ინკლუზიის შესახებ. მსოფლიო ბანკი. (გვ. 5, 120.

[37] GLI-ის ჩარჩოს პროექტი. (2025). GLI-ის ჩარჩოები: ქალებში გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ივესტირების ჩარჩო.

2. ქართული კონტექსტის გააზრება: საინვესტიციო ლანდშაფტი და გენდერული დინამიკა

საქართველოში გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირების (GLI) ეფექტიანად განსახორციელებლად, პირველ რიგში, უნდა გავეცნოთ ქვეყნის უნიკალურ საინვესტიციო ლანდშაფტს და მის ამჟამინდელ გენდერულ დინამიკას. ეს ნიშნავს იმის დანახვას, თუ როგორ განიკარგება ფული, რომელი ძირითადი ინდუსტრიები ვითარდება და როგორია გენდერული თანასწორობის მდგომარეობა ბიზნესში.

2.1. საქართველოს საინვესტიციო გარემო: რა ვითარებაა ახლა

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საქართველო მნიშვნელოვნად შეიცვალა. ქვეყანაში აღინიშნებოდა დიდი ეკონომიკური ზრდა, განხორციელდა ბიზნესისთვის ხელსაყრელი მრავალი რეფორმა [1], [2]. ამ ცვლილებებმა საქართველო მიმზიდველი გახადა უცხოელი ინვესტორებისთვის, რამაც 2016-დან 2022 წლამდე პერიოდში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) სახით ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური პროდუქციის (GDP) დაახლოებით 8.2 % მოიტანა [3]. ამ წარმატების შედეგად საქართველო „საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების“ რიცხვში მოხვდა. აღნიშნული წარმატება ასევე აისახა გაუმჯობესებულ პოზიციაზე OECD-ის ქვეყნების რისკის კლასიფიკაციაში (OECD Country Risk Classification) – 2024 წელს მე-6 კატეგორიიდან მე-5-ში გადავიდა, ასევე დაიკავა მე-8 ადგილი **OECD-ის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მარეგულირებელი შეზღუდვის ინდექსში** (OECD FDI Regulatory Restrictiveness Index) [4].

საქართველოს ეკონომიკის დიდი ნაწილი მომსახურების სექტორია – 2010 წელს მისი წილი დაახლოებით 63 % იყო, 2019 წელს მიაღწია უმაღლეს მაჩვენებელს, თითქმის 70 %-ს, ამჟამად, 2022–2024 წლებში კი მაჩვენებლით 60-62 %-ს შეადგენს. განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა ისეთი სერვისები, როგორიცაა: ტრანსპორტი, ვაჭრობა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT), სფეროები, რომლებიც ახლა სამუშაო ადგილების დიდ ნაწილს უზრუნველყოფს [5]. სხვა მნიშვნელოვანი ინდუსტრიები მოიცავს სოფლის მეურნეობას, მრეწველობასა და მშენებლობას.

თუმცა, მიუხედავად ამ პროგრესისა, არსებობს ერთი გავრცელებული ხარვეზი: საინვესტიციო ლანდშაფტში ხშირად გამოტოვებულია გენდერული სხვაობის საკითხი. ეს „გენდერულად ნეიტრალური“ მიდგომა ნიშნავს, რომ პოლიტიკები და პრაქტიკები სრულად არ აღიარებს და ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ქალები და კაცები სხვადასხვაგვარად ურთიერთქმედებენ ბიზნესის სფეროსთან. ამან შეზღუდა ქალების ეკონომიკური მიღწევები სხვადასხვა ინდუსტრიაში, რაც ხშირად იყო ნახსენები ჩვენს საუბრებში ექსპერტებთან [6].

რა არის გენდერულად ნეიტრალური მიდგომა?

„გენდერულად ნეიტრალური“ მიდგომა ყველას ერთნაირად ეპყრობა; არ ითვალისწინებს, რომ ქალებსა და კაცებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული საჭიროებები, შესაძლებლობები ან გამოწვევები. ბიზნესში ამან შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ ქალი მეწარმეებისთვის რელევანტური წინაღობების უგულებელყოფა ან შეიძლება ხელიდან გავუშვათ მმართველ პოზიციებსა და ცაკეულ სფეროებში მათი მხარდაჭერის შესაძლებლობა.

2.2. გენდერული თანასწორობა საქართველოში: რა მდგომარეობაა ახლა?

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გენდერული თანასწორობის მიმართულებით ნამდვილად ჰქონდა პროგრესი, ბოლოდროინდელი შესამჩნევი საკანონმდებლო უკუსვლის შედეგად კვლავ არსებობს დიდი განსხვავებები, განსაკუთრებით ქალების ეკონომიკაში მონაწილეობისა და მმართველ პოზიციებზე მუშაობის კუთხით.

2.2.1 ქალების როლი ბიზნესსა და საქმეში

ქართველ ქალებს, როგორც წესი, კარგი წვდომა აქვთ განათლებაზე. გოგონების უმეტესობა დადის დაწყებით და საშუალო სკოლაში, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში უფრო მეტი ქალი აბარებს, ვიდრე კაცი [7], [8]. 2023 წელს ქალების დაახლოებით 57 % სწავლობდა უმაღლეს სასწავლებელში, კაცების 43 %-თან შედარებით [8]. მაგრამ სამწუხაროდ, ცოდნის ეს მძლავრი საფუძველი ყოველთვის არ ნიშნავს თანაბარ ეკონომიკურ შესაძლებლობებს. ამავდროულად, განათლების სექტორის სხვადასხვა სფერო ავლენს სეგრეგაციის მაღალ დონეს. ქალების მონაწილეობა STEM და ICT სფეროებში განსაკუთრებით დაბალია – გასული ათწლეულის განმავლობაში მაჩვენებელი 20 %-ზე ნაკლები იყო, რისი მიზეზიც გავრცელებული სტერეოტიპები და სტრუქტურული წინაღობებია.

სამუშაო ძალაში ქალთა ჩართულობის კუთხით არსებობს შესამჩნევი განსხვავება. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში შრომისუნარიანი ასაკის ქალების მხოლოდ 40-46 % იყო აქტიური, კაცების 60-67 %-სთან შედარებით [9]. ეს 20 %-იანი განსხვავება ერთ-ერთი ყველაზე დიდი მაჩვენებელია ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონებში.

რა არის „გენდერული სხვაობა“

„გენდერული სხვაობა“ გულისხმობს განსხვავებას ქალებისა და კაცების შესაძლებლობს, ჩართულობის მაჩვენებლებსა და შედეგებს შორის ცხოვრების ისეთ სხვადასხვა ასპექტში, როგორიცაა განათლება, დასაქმება ან მმართველობა.

ქალებს უჭირთ საკუთარი ბიზნესის დაწყება. საქართველოში ქალთა მეწარმეობის ლანდშაფტის ბოლოდროინდელმა ანალიზმა აჩვენა, რომ ფართო ეკოსისტემის ყველაზე დიდი გამოწვევები გენდერულად მგრძნობიარე საფინანსო სერვისებზე შეზღუდული წვდომა, ბიზნესის განვითარებაში მხარდაჭერის ნაკლებობა და ბაზრებისა და ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობაა. მეწარმე ქალთა 60 %-ზე მეტი დაფინანსების ხელმისაწვდომობას ბიზნესის დაწყების ან ზრდისთვის მთავარ წინაღობად ასახელებს; ამასთან საკრედიტო ხაზებზე არათანაბარი წვდომა არაპროპორციული

ძალით მოქმედებს მათზე, თუმცა ამავე ქალების მხოლოდ 24 პროცენტმა თქვა, რომ გასულ წელს ბიზნესსესხის აღება სცადა. ქალთა მეწარმეობის 59 პროცენტი კონცენტრირდება სექტორებზე, რომლებიც ზრდის ნაკლები პერსპექტივითა და უკვე ათვისებული ბაზრებით ხასიათდება (მაგ: სავაჭრო სექტორი), რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მათ ნაკლებ მასშტაბზე. ქალთა მიერ მართული ბიზნესის 89 პროცენტი დამოუკიდებლად არის წამოწყებული და, როგორც წესი, ინდივიდუალურ მეწარმეობად ფუნქციონირებს, ხშირად ასაქმებს სხვა ქალებსაც [15].

2.2.2. გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული კანონები და პოლიტიკები

საქართველომ თავისი კანონებითა და სტრატეგიით აჩვენა გენდერული თანასწორობისადმი თავდადება. ქვეყნის კონსტიტუცია და კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ (2010) ყველასთვის თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს გვპირდება და აღიარებს, რომ არსებული უთანასწორობის გამოსასწორებლად კონკრეტული ქმედებებია საჭირო [17]. 2023 წელს მთავრობამ დაამტკიცა „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია“ [18], რომლის მიზანიც სტრუქტურული წინაღობების აღმოფხვრა იყო. ეს გეგმები თანხვედრაშია ისეთ საერთაშორისო ვალდებულებებთან, როგორიცაა „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია“ (CEDAW), რომელსაც საქართველო 1994 წელს შეუერთდა [19].

თუმცა ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც გულისხმობდა ყველა ქართული კანონიდან სიტყვების, „გენდერი“ და „გენდერული იდენტობის“ ამოღებას, ასევე „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონის სახელწოდების შეცვლას „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ კანონით“, ხაზს უსვამს იურიდიული ჩარჩოს შესამჩნევ ცვლილებას. აღნიშნული ცვლილებების შედეგად ისეთი ტერმინები, როგორიცაა „გენდერის საკითხები“, „ქალებისა და კაცების თანასწორობის საკითხები“ და „გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობა“ ნაცვლდება „შეუწყნარებლობით ქალებისა და კაცების თანასწორობის მიმართ“, ხოლო „გენდერულად მგრძნობიარე“ – „სქესით განპირობებული განსხვავებების მიმართ მგრძნობიარობით“. ეს ფაქტი იმ საკანონმდებლო ლანდშაფტის ილუზტრაციაა, რომელსაც გავლენა ექნება ქვეყნის გენდერული თანასწორობის სფეროს მომავალ ინიციატივებზე [20].

მაგრამ, არსებული იურიდიული საფუძვლების პრაქტიკულად განხორციელება მაინც გამოწვევად რჩება. საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმული სოციალური ნორმები და კანონის არასაკმარისი აღსრულება კვლავაც შეიძლება ასუსტებდეს რეალურ ქმედითუნარიანობას კანონებისა, რომლებიც ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას ისახავს მიზნად [21].

გენდერული სტერეოტიპები დასაქმების სფეროს შესახებ:

საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა (83 %) თანხმდება, რომ ანაზღაურებადი სამუშაოს ქონა მთავარია ქალის დამოუკიდებლობისთვის; თუმცა თითქმის ყოველი მეორე ადამიანი (48 %) თვლის, რომ არასაკმარისი სამუშაო ადგილების პირობებში, პრიორიტეტი კაცების დასაქმება უნდა იყოს. მეტიც, ადამიანების უმეტესობას (75 %) მიაჩნია, რომ ქალებს არ შეიძლება ჰქონდეთ ცალკეული პროფესიები და ყოველი მეორე ადამიანი (54 %) თვლის, რომ მომსახურების სფეროში მუშაობა ქალს უფრო შეეფერება. საქართველოს მაცხოვრებლების უმეტესობა ასევე ეთანხმება იმ აზრს, რომ ქალები ნაკლებად უნდა მუშაობდნენ ანაზღაურებისთვის და თავი უნდა მიუძღვნან ოჯახებს (71 %) და რომ როცა დედა მუშაობს ანაზღაურებისთვის და სახლში არ არის, ბავშვები ზარალდებიან (69 %). ამის საპირისპიროდ, მხოლოდ 16 % ფიქრობს, რომ ბავშვები ზარალდებიან, როცა მამები მუშაობენ ანაზღაურებისთვის და არ არიან სახლში [22].

2.2.3. სხვადასხვა სფეროში არსებული სპეციფიკური გენდერული სხვაობები

ეკონომიკური მონაწილეობის სხვაობები ყველა სფეროში ერთნაირი არ არის. ქალები ხშირად გხვდებიან მომსახურების სფეროში (დასაქმებული ქალების 76.5 %, კაცების 67 %-თან შედარებით), განსაკუთრებით განათლების სფეროში (ქალების 21.6 %, კაცების 3.4 %-თან შედარებით); ასევე ჯანდაცვასა და სოციალურ საქმიანობაში (ქალების 9.5 %, კაცების 1.9 %-თან შედარებით) [23]. მაგრამ, ტრადიციულად, კაცების მიერ დომინირებულ სფეროებში, რომლებიც ხშირად უფრო მაღალი ანაზღაურებით ხასიათდება (მაგალითად: ლოგისტიკა და მშენებლობა), ქალები გაცილებათ ნაკლებად არიან წარმოდგენილნი [24]. ასეთი „პროფესიული სეგრეგაცია" ზღუდავს ქალების წვდომას უკეთესად ანაზღაურებად სამსახურებსა და კარიერულ ზრდაზე. მაგალითად, 2019 წელს მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) ფაკულტეტების კურსდამთავრებულებთა 38.7 % ქალი იყო [25].

რა არის „პროფესიული სეგრეგაცია?"

ეს ხდება, როცა გარკვეული სამუშაო ადგილები ან სფეროები ძირითადად ერთი სქესის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული. მაგალითად, თუ მშენებლობის სფეროში მომუშავე ადამიანების უმეტესობა კაცია, ხოლო ექთნების უმეტესობა – ქალი, ეს პროფესიული სეგრეგაციაა, რამაც შეიძლება შეზღუდოს არჩევანი და შესაძლებლობები ორივე გენდერისთვის.

ავიღოთ სოფლის მეურნეობა. ამ სექტორში ბევრი ქალი მუშაობს თითქმის იმდენივე საათს, რამდენსაც კაცები (ქალების 47.7%, კაცების 52.3%-თან შედარებით) [26]. ამის მიუხედავად, ქალებს ხშირად უწევთ ბრძოლა ისეთ მნიშვნელოვან რესურსებზე თანასწორი წვდომისთვის, როგორიცაა მიწა, სესხები და ტრენინგები [27]. ლოგისტიკის სექტორში არსებულმა მოძველებულმა გენდერულმა ნორმებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ქალების შესაძლებლობაზე, იპოვონ სამსახური ან წამოიწყონ ბიზნესი, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ტრანსპორტაციის კუთხით ბევრი როლი ტრადიციულად კაცებთან იყო დაკავშირებული [28].

2.2.4. რა გვითხრეს ექსპერტებმა: შეხედულებები ინვესტიციებში გენდერის პრობლემებთან დაკავშირებით

საუბრისას ექსპერტები მუდმივად აღნიშნავდნენ, რომ ბიზნესის ფლობის, სამუშაო ადგილებისა და მმართველობის შესახებ დეტალური გენდერულად სპეციფიკური მონაცემების არარსებობა მთავარი დაბრკოლებაა. ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ უკიდურესად გვჭირდება მეტი ქალი შრომის ბაზარზე და რომ ეს საკითხი გადაჯაჭვულია ზრუნვის (მაგალითად ბავშვთა მოვლის) სერვისებთან. ექსპერტებმა ასევე აღნიშნეს, რომ არ არსებობს მკაფიო განმარტებები ან შესაბამისი ჩარჩო საინვესტიციო გადაწყვეტილებებში გენდერის გასათვალისწინებლად, რაც ნიშნავს, რომ ინვესტიციებში სრულებით არ არის გათვალისწინებული გენდერული სხვაობები [29], [30].

რა გავიგეთ: ძირითადი გამოწვევები

- **მონაცემების არარსებობა: თითქმის არ გვაქვს ინფორმაცია იმაზე, თუ რამდენი ქალი ფლობს ბიზნესს, რამდენია დასაქმებული ან მუშაობს მმართველ პოზიციებზე.**
- **ზრუნვის აუცილებლობა: არ გვაქვს ბავშვებზე ან მოხუცებზე ზრუნვის საკმარისი სერვისი, რაც ართულებს ქალების გააქტიურებას შრომის ბაზარზე.**
- **ჩარჩოს არარსებობა: არ გვაქვს მკაფიო წესები ინვესტიციებში გენდერის გასათვალისწინებლად.**

2.3. ვინ რას აკეთებს: ძირითადი მოთამაშეები და პროგრამები

საქართველოს საინვესტიციო სფეროში ბევრი სხვადასხვა ჯგფი მუშაობს და ზოგიერთი მათგანი იწყებს გენდერულ თანასწორობაზე ყურადღების უფრო მეტად გამახვილებას.

2.3.1. სამთავრობო სააგენტოები და მათი როლი

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მთავარი სახელმწიფო ორგანოა ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით, რაც მოიცავს ბიზნესისა და ინვესტიციების მოზიდვის მხარდაჭერას [31]. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი „აწარმოე საქართველოში" ბიზნესის განვითარებისა და ექსპორტის მიმართულებით სხვადასხვა პროგრამას ახორციელებსლ, GITA კი ტექნოლოგიურ სტარტაპებს აფინანსებს და მათი ინოვაციური მიდგომების განვითარებას უწყობს ხელს, რათა სხვა ინოვაციური კომპანიებისა და საწარმოების სამომავლო განვითარება წაახალისოს. 2019 წელს შექმნილი საპენსიო ფონდი დანაზოგებს მართავს და სამომავლო გეგმებში გენდერზე ორიენტირებული საინვესტიციო კრიტერიუმების შეტანის პოტენციალიც აქვს [32].

2.3.2. კერძო საფინანსო კომპანიები: ბანკები, მიკრობანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საინვესტიციო ფონდები

საქართველოს კერძო საფინანსო სექტორი ნელ-ნელა ავლენს ინტერესს გენდერულად მგრძნობიარე პრაქტიკების მიმართ. მაგრამ ჩვენ არ გვაქვს ბევრი დეტალური მონაცემი იმის შესახებ, თუ რა მოცულობით გაიცემა სესხები ქალებზე. ზოგიერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაციუა, ტრადიციულად, ქალებზეა ორიენტირებული, რადგან, როგორც წესი, ისინი საიმედო მსესხებლები არიან და ამიტომ, მათში ინვესტირებას შეიძლება მნიშვნელოვანი სოციალური ეფექტი ჰქონდეს. მაგალითად, 2022 წელს სს მიკრობანკი „კრისტალი" ისტორიაში შევიდა იმით, რომ გამოუშვა საქართველოში პირველი „გენდერული ობლიგაცია" – 25 მილიონი ლარი (დაახლოებით 9 მილიონი აშშ დოლარი). აღნიშნული ობლიგაცია ქალების მფლობელობაში არსებული ან მათ მიერ მართული ბიზნესების მხარდასაჭერად იყო განკუთვნილი [33]. ეს ფაქტი გვაჩვენებს, რომ არსებობს ქალების საჭიროებების გათვალისწინებით ფინანსური პროდუქტების შექმნის მცირე ტენდენცია. ზოგადად, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ივესტირებაში ფინანსური სექტორის ჩართულობა ახალი მოვლენაა, ხშირად წახალისებულია საერთაშორისო პროექტების მიერ ან განპირობებულია სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობით. GLI ჯერ ძირითადი ბიზნესსტრატეგიის ნაწილად არ ქცეულა [34].

ფოკუსი: გენდერული ობლიგაციები

„გენდერული ობლიგაცია" არის ინვესტიციის სახეობა, რომელიც მიმართულია სპეციალურად გენდერული თანასწორობის ან ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტებისა და მათი ბიზნესებისთვის სახსრების მოზიდვაზე. ეს შეიძლება ნიშნავდეს ისეთი ბიზნესებისა და ინიციატივების დაფინანსებას, რომლებიც ან ქალებს ეკუთვნით ან მათ ჯანმრთელობასა და განათლებაზე ზრუნვას გულისხმობს; ასევე შეიძლება ფინანსდებოდეს ინიციატივები, რომლებიც სამუშაო ადგილზე გენდერულ თანასწორობას ემსახურება.

ფოკუსი: Empower Her

ინიციატივა Empower Her 2024 წელს ProCredit ბანკის მიერ განხორციელდა და მისი მიზანი იყო სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკური ჩართულობის გაძლიერება. საბაზო ორგანიზაცია ფონდ „ტასოსთან" თანამშრომლობით ბანკმა სოფლად მცხოვრები

ქალებისთის ჩატარებულ ბიზნესსწავლებასა და მენტორულ მხარდაჭერაში ჩადო ინვესტიცია, რათა მათთვის საკუთარი საქმის წამოსაწყებად და გასაფართოებლად საჭირო უნარ-ჩვევები და თავდაჯერებულობა მიეცა.

ფოკუსი: ქალთა სამეწარმეო ექსპო

ქალთა ყოველწლიური სამეწარმეო გამოფენა TBC ბანკის დაფინანსებით ეწყობა. ეს არის ინკლუზიური პლატფორმა, რომელიც ქალთა მიერ მართული ბიზნესების სადემონსტრაციოდ შეიქმნა. გამოფენის მიზანია, მისცეს ქალებს მეტი წვდომა ბაზარზე, დაეხმაროს მათ საქმიანი კავშირების დამყარებაში და დააკავშიროს ქალი მეწარმეები პოტენციურ ინვესტორებთან, კორპორაციულ მყიდველებთან და მხარდაჭერის სერვისებთან ბიზნესის გაფართოებისთვის.

2.3.3. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები საქართველოში

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები დიდ როლს თამაშობენ საქართველოში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაში:

- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითრების ბანკი (EBRD) მხარს უჭერს კერძო სექტორის განვითარების მრავალ პროექტს. ასევე, მათ მწვანე კლიმატის ფონდთან ერთად (GCF) ერთად წამოიწყეს მწვანე ქალაქების პროექტები, რომელთა მიზანიც ქალაქის ეკოლოგიურად მდგრადი განვითარება, მაგალითად, თბილისის მეტროს მოდერნიზაცია იყო [35]. ეს პროგრამები ზოგად განვითარებას უწყობს ხელს, შესაბამისად, ხშირად არაპირდაპირ ეხმარება ქალებს.
- მსოფლიო ბანკი (WB) ორიენტირებულია მასშტაბურ რეფორმებზე, მათ შორის ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე, საჯარო ფინანსების უკეთ მართვასა შიდა რეგიონული უთანასწორობის შემცირებაზე. მსოფლიო ბანკის 2022 წლის მიმოხილვაში აღნიშნული იყო, რომ „გენდერული მიდგომა კარგად არის ინტეგრირებული პროგრამაში“, რაც ნიშნავს, რომ ყველა ახალი პროექტი არსებული სხვაობების შემცირებაზეა მიმართული [36]. ისეთი სპეციალური პროექტები, როგორებიცაა ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამა და Georgia 12Q განსაკუთრებულად არის კონცენტრირებული განათლების ხარისხის ამაღლებასა და მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროებში გოგონების ხელშეწყობაზე [37].
- საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC), რომელიც კერძო სექტორთან მუშაობს, პირდაპირ მხარს უჭერს ბიზნესებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს. 2022 წელს IFC-მ განახორციელა 20 მილიონი დოლარის ინვესტიცია საქართველოს პირველ მწვანე ობლიგაციაში, რითიც ხელი შეუწყო კლიმატურ დაფინანსებას [38]. IFC ასევე ხაზს უსვამს გენდერული ასპექტის გათვალისწინებას კლიმატურ დაფინანსებაში, რადგან კლიმატის ცვლილება სხვადასხვაგვარად აისახება ქალებსა და კაცებზე [39].
- აზიის განვითარების ბანკი (ADB) მხარს უჭერს ინფრასტრუქტურის, რეგიონული თანამშრომლობისა და კერძო სექტორის განვითარებას. მისი დიდი მიზანია სოციალური ინკლუზიის წახალისება, რაც ხშირად მოიცავს ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებას.

შენიშვნა: *2020 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისმა შექმნა ეროვნული მასშტაბის სამუშაო ჯგუფი საქართველოში მომუშავე წამყვან საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან (IFI) ერთად; მათ შორის იყვნენ: აზიის განვითარების ბანკი (ADB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითრების ბანკი (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) და მსოფლიო ბანკი (WB). სამუშაო ჯგუფის მიზანი იყო კოორდინირებული მიდგომის შექმნა გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობის ხელშესაწყობად საქართველოს ფინანსურ სისტემაში, განსაკუთრებით კომერციული ბანკების სადამკვირვებლო და მმართველ ორგანოებში გენდერული ბალანსის მიღწევის კუთხით.*

2.3.4. ქალთა გაძლიერების პრინციპების (WEP) ხელმომწერები

საქართველოში ქალთა გაძლიერების პრინციპების (WEP) ხელმომწერი კომპანიები სულ უფრო დიდ როლს თამაშობენ მეტად ინლუზიური საინვესტიციო და ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებაში. ისინი ახორციელებენ სამუშაო ადგილებზე, ბაზარსა და საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინიციატივებს. გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისის შიდა კვლევის თანახმად, WEP-ის ხელმომწერი კომპანიების ქმედებებს 2018-2024 წლებში დადებითი გავლენა ჰქონდა 71 000-ზე მეტ ქალზე — როგორც თვითონ ორგანიზაციაში, ისე სხვადასხვა თემებში. გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების (GEWE) ინიციატივებში მათმა ფინანსურმა კონტრიბუციამ დაახლოებით 9 მილიონი ლარი შეადგინა; აღნიშნული კონტრიბუცია ასევე მოიცავდა მნიშვნელოვან უანგარო მხარდაჭერას, მაგალითად: სწავლებას, მენტორობასა და ქოუჩინგს.

2.3.5. გენდერული თანასწორობისთვის მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (CSOs)

საქართველოში მრავალი ადგილობრივი და საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია (CSO) მოღვაწეობს; ისინი აქტიურად იცავენ გენდერულ თანასწორობას და მუშაობენ ქალთა ეკონომიკური გაძლიერებაზე. ეს ჯგუფები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ავლენენ ქალების წინაშე არსებულ კონკრეტულ გამოწვევებს, ზრდიან ცნობიერებას და ახორციელებენ პროგრამებს ადგილობრივად. ისინი ხშირად მოქმედებენ, როგორც მთავარი რგოლები ქალ მეწარმეებსა და პოლიტიკის შემქმნელებს შორის, ხელს უწყობენ საჭიროებების გამოვლენას და პოლიტიკური ცვლილებებისკენ სწრაფვას, რაც ქალებს წაახალისებს სრულად ჩაერთონ ეკონომიკაში [40].

რა შევიტყვეთ ძირითადი დაინტერესებული მხარეებისგან: არსებული სტრუქტურები და შესაძლებლობები

ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ გენდერის საკითხები ორიენტირებული საინვესტიციო ჯგუფები ჯერ კიდევ ვითარდება, ისეთ არსებულ პლატფორმებს, როგორიცაა ინვესტორთა საბჭოს დიალოგის პლატფორმა, GLI-ის ინტეგრაციის დიდი პოტენციალი აქვთ. მათ ხაზი გაუსვეს ინვესტორთა საბჭოს მიმდინარე საქმიანობის მნიშვნელობას „ქალების მფლობელობაში არსებული ბიზნესების“ განსაზღვრისა და გენდერულად მგრძნობიარე ხელშეწყობის მიმართულებით. ასევე აღნიშნეს, რომ ეს არის გადამწყვეტი მნიშვნელობის პირველი ნაბიჯები. არსებობს მტკიცე თანხმობა იმის შესახებ, რომ საჭიროა უფრო კარგად შეკავშირებული GLI სისტემის ჩამოყალიბება არსებული IFI პროგრამებისა და კერძო სექტორის ინტერესის გამოყენებით, რათა გავაერთიანოთ ყველა მიმდინარე, თუმცა ხშირად განცალკევებული, გენდერთან დაკავშირებული ძალისხმევა [41].

სქოლიო:

[1] მსოფლიო ბანკი (2025). საქართველოში სამართლიანი ზრდისთვის ფისკალური რეალობების ნავიგაცია, მსოფლიო ბანკის ჯგუფი.

[2] მსოფლიო ბანკი. (მალე). საქართველო: საჯარო ფინანსების მიმოხილვა: ფისკალური პოლიტიკა ინკლუზიური განვითარებისთვის. მსოფლიო ბანკის ჯგუფი.

[3] ქვეყნის კერძო სექტორის დიაგნოსტიკა: კერძო სექტორის შესაძლებლობების გააქტიურება საქართველოს სრული პოტენციალის რეალიზებისთვის. (2023). მსოფლიო ბანკის ჯგუფი, მსოფლიო ბანკი, IFC.

[4] მსოფლიო ბანკი. (2022). საქართველო - ქვეყნის პარტნიორობის ჩარჩოს პროდუქტიულობისა და სწავლის მიმოხილვა FY19-FY22 პერიოდისთვის. მსოფლიო ბანკის ჯგუფი.

[5] საქართველო - ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმი: თავი 1 - საქართველოს ზრდის გაგება (ინგლისური). (2022). [307]. მსოფლიო ბანკის ჯგუფი.

[6] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). თითოეული მიმართულებით განხილული საკითხები.

[7-12] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024). ქალები და კაცები საქართველოში: სტატისტიკური გამოცემა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (გვ. 47, 77, 104).

[13] მსოფლიო ბანკის ჯგუფი. (2025). საქართველოს გენდერული ფაქტების ცხრილი. მსოფლიო ბანკის გენდერული მონაცემების პორტალი.

[14, 16-17] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). თითოეული მიმართულებით განხილული საკითხები. [შეხვედრის ჩანაწერები.

[15] გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO). (2023). ქალთა მეწარმეობის განვითარების ეროვნული შეფასება საქართველოში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია.

[18] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024). ქალები და კაცები საქართველოში: სტატისტიკური გამოცემა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (გვ. 10).

[19] გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women). (2023). გენდერული თანასწორობის პროფილის შეფასება საქართველოში 2023. გაეროს ქალთა ორგანიზაცია. (გვ. 6).

[20] სახელმწიფო პოლიტიკიდან ლგბტქი+ საკითხების აღმოფხვრა: თანასწორობის გამოწვევები საქართველოში. (2025). [ანგარიში]. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი. (გვ. 20).

[21] გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2022). ზრუნვის დრო: ქალების აუნაზღაურებული საოჯახო შრომა და გენდერული უთანასწორობა საქართველოში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია. (გვ. 1)

[22] გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) [2024] 2024 წლის გენდერული თანასწორობის დამოკიდებულებების კვლევა (GEAS) საქართველოში.

[23] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024). ქალები და კაცები საქართველოში: სტატისტიკური გამოცემა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (გვ. 50, 69, 70).

[24] მსოფლიო ბანკის ჯგუფი. (2025). საქართველოს გენდერული ფაქტების ცხრილი. მსოფლიო ბანკის გენდერული მონაცემების პორტალი.

[25] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024). ქალები და კაცები საქართველოში: სტატისტიკური გამოცემა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (გვ. 71).

[26] მსოფლიო ბანკი. (2023). ფისკალური რეალობები თანაბარი ზრდისთვის. მსოფლიო ბანკის ჯგუფი. (გვ. 52).

[27]

[28-29] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). თითოეული მიმართულებით განხილული საკითხები. [შეხვედრის ჩანაწერები].

[30-31] საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების განახლებული ჩარჩო. (2025). კონტექსტი | საქარტველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩო.

[32] მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“. (2022). „კრისტალი“ აფინანსებს ქართველი ქალების მიერ მართულ ბიზნესებს პირველი გენდერული ობლიგაციის მეშვეობით. [პრესრელიზი].

[33] საქართველო - ქვეყნის პარტნიორობის ჩარჩოს პროდუქტიულობისა და სწავლის მიმოხილვა FY19-FY22 პერიოდისთვის. მსოფლიო ბანკის ჯგუფი. (გვ. 13).

[34] ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD). (2023). EBRD აფინანსებს მდგრად ურბანულ ინფრასტრუქტურას თბილისში, საქართველოში. [პრესრელიზი].

[35] მსოფლიო ბანკი. (2022). საქართველო - ქვეყნის პარტნიორობის ჩარჩოს პროდუქტიულობისა და სწავლის მიმოხილვა FY19-FY22 პერიოდისთვის. მსოფლიო ბანკის ჯგუფი. (გვ. 9).

[36] მსოფლიო ბანკი. (2022). საქართველო - ქვეყნის პარტნიორობის ჩარჩოს პროდუქტიულობისა და სწავლის მიმოხილვა FY19-FY22 პერიოდისთვის. მსოფლიო ბანკის ჯგუფი (გვ.22).

[37] საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC). (2022). IFC გამოყოფს 20 მილიონ აშშ დოლარს საქართველოს პირველი მწვანე ობლიგაციისთვის. [პრესრელიზი].

[38] საფინანსო კორპორაცია (IFC). (უ.თ.). გენდერის ჩათვლით კლიმატის დაფინანსება. [ვებგვერდი].

[39] მსოფლიო ბანკი. (2022). საქართველო - ქვეყნის პარტნიორობის ჩარჩოს პროდუქტიულობისა და სწავლის მიმოხილვა FY19-FY22 პერიოდისთვის. მსოფლიო ბანკის ჯგუფი (გვ. 10).

[40] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). თითოეული მიმართულებით განხილული საკითხები. [შეხვედრის ჩანაწერები].

3. გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირების (GLI) განსაზღვრა საქართველოს კონტექსტისთვის

იმისათვის, რომ GLI-მ ეფექტიანად იმუშაოს საქართველოში, აუცილებელია კარგად გვესმოდეს, რას ნიშნავს ეს ჩვენს კონტექსტში. გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირება გულისხმობს არა მხოლოდ იდეებს, არამედ პრაქტიკულ მიდგომებს, რომელთა განხორციელებითაც ინვესტიციები წაახალისებს ქალებს და სარგებელს მოუტანს ეკონომიკას.

3.1. GLI-ის ძირითადი პრინციპები

თავისი არსით GLI საინვესტირების სტრატეგიაა, რომელიც ითვალისწინებს გენდერს ბიზნესსა და ბაზრებზე [1]. ამ სტრატეგიას ორი მთავარი მიზანი აქვს: გენდერულ თანასწორობისა და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერების მხარდაჭერა და კარგი ფინანსური შედეგების მიღწევა [2].

უფრო მარტივად, GLI გვეხმარება იმის გააზრებაში, რომ გენდერული სხვაობები მხოლოდ სოციალური საკითხი კიარ არის, არამედ ხელიდან გაშვებული ეკონომიკური შესაძლებლობებიც. ეს არის გენდერის გაუთვალისწინებლად ინვესტირებიდან გენდერულად მგრძნობიარე ინვესტირებაზე გადასვლის გზა, რაც ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ქალები და კაცები სხვადასხვაგვარად ურთიერთქმედებენ ბაზრებთან, შესაძლებლობებთან და რისკებთან [3]. GLI-ის მთავარი პრინციპებია: გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა და რეალური, გაზომვადი შედეგების მიღება გენდერული თანასწორობის მიმართულებით, ისევე, როგორც მოგების მიღება [4].

3.2. GLI-ის საერთაშორისო ჩარჩოები: მოკლე მიმოხილვა

მსოფლიოში არსებობს GLI-ის მნიშვნელოვანი ორიენტირები. მათ შორის ორი ყველაზე კარგად ცნობილი ორიენტირია: გავლენაზე ორიენტირებული გლობალური ქსელის (GIIN) მიერ შექმნილი 2X Challenge და IRIS+.

2X Challenge Criteria ერთ-ერთი მთავარი მსოფლიო სტანდარტია, რომელიც იკვლევს, რა სახის ინვესტიციები შეიძლება ჩაითვალოს „გენდერულად მგრძნობიარედ“. ეს კრიტერიუმი შეიქმნა ფინანსური განვითარების სფეროს წამყვანი ორგანიზაციების მიერ და მიზნად ისახავს, მოიზიდოს მეტი ინვესტიცია გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად; ამისთვის კი ოთხი ძირითადი მიმართულების მკაფიო კრიტერიუმი გამოიყენება:

- **ბიზნესის ფლობა და მართვა:** ქალების, როგორც ბიზნესების მფლობელთა და მმართველთა ჩართულობის დეტალური ანალიზი [5].
- **სამუშაო ადგილები:** სამართლიანი დასაქმების პრაქტიკისა და შრომის ბაზარზე ქალების სათანადო წარმომადგენლობის წახალისება [6].
- **პროდუქტები და მომსახურებები:** ისეთი ბიზნესების მხარდაჭერა, რომლებიც ქმნიან პროდუქტებს სპეციალურად ქალებისა და გოგონებისთვის [7].
- **მიწოდების ჯაჭვი:** ისეთი ინკლუზიური პრაქტიკების მხარდაჭერა, რომლებიც მოიცავს მთელ ბიზნესქსელს და სარგებელი მოაქვს ქალებისთვის [8].

ეს კრიტერიუმები მნიშვნელოვან როლს თამაშობს GLI პროექტებში, იმდენად რამდენადაც ხელს უწყობს კერძო ინვესტიციების მიმართვას ქალთა ეკონომიკური პოზიციების გამაძლიერებელი ინიციატივებისკენ.

გავლენაზე ორიენტირებული გლობალური ქსელის (GIIN) მიერ შემუშავებული IRIS+ მოიცავს სოციალური და ეკოლოგიური ზემოქმედების გაზომვის სტანდარტების ზუსტ სიას. ეს სტანდარტი გვთავაზობს საერთო ენას გავლენის ანგარიშგებისთვის, რაც ინვესტორებს ეხმარება მიიღონ გამართლებული გადაწყვეტილებები მონაცემებზე დაყრდნობით და შეესაბამებოდნენ გლობალურ მიზნებს, მაგალითად SDG-ს (მდგრადი განვითარების მიზნები) [9], [10]. 2X გვეხმარება გავიგოთ, რა ტიპის ინვესტიციები შეიძლება ჩაითვალოს „გენდერულად მგრძნობიარედ“, IRIS+ კი რეალური შედეგებისთვის თვალყურის დევნებისა და მათ შესახებ ანგარიშგების ინსტრუმენტებს გვაძლევს. ორივე ეს კრიტერიუმი ეფექტიანად მუშაობს GLI-ის სამყაროში.

არსებობს სხვა სასარგებლო გზამკვლევებიც, მაგალითად, „ქალებში გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირების ჩარჩო“ და „გენდერულად მგრძნობიარე – GLI-ის გზამკვლევი ფონდების ხელმძღვანელებისთვის“. ორივე მათგანი ინვესტორებს ეხმარება გენდერული მიზნების დასახვასა და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებაში [11], [12].

3.3. GLI-ის მორგება საქართველოზე: რას ნიშნავს ეს პრაქტიკაში

GLI-ის წარმატებით განხორციელება საქართველოში გულისხმობს ქვეყნის უნიკალური კონტექსტისა და გენდერთან დაკავშირებული გამოწვევების სიღრმისეულ გააზრებას. მარტივად რომ ვთქვათ, GLI საქართველოში არ შემოიფარგლება მხოლოდ ქალებში ინვესტირებით, არამედ გულისხმობს მიზნობრივ ინვესტირებას იმ სფეროებში, რომლებიც ქმნის მეტ შესაძლებლობას, რათა ქალებმა თავისი ეკონომიკური პოტენციალი სრულად გამოიყენონ სხვადასხვა სექტორში.

საქართველოს შემთხვევაში ეს ნიშნავს ინვესტიციების მიმართვას ისეთ ბიზნესებზე, რომლებიც:

- **ქალების საკუთრებაშია ან ქალების მიერ იმართება:** ეს ხელს უწყობს არსებული პრობლემის გადაწყვეტას – საქართველოში მცირეა ბიზნესის მფლობელი ან ხელმძღვანელი ქალების რაოდენობა. მიზანია იმ ბიზნესების წილის გაზრდა, რომლებიც ძირითადად ქალების მიერ არის დაარსებული, მართული ან მათ საკუთრებაშია [13].
- **ხელს უწყობენ სამართლიანი სამუშაო გარემოს შექმნას ყველა გენდერისთვის:** ეს მოიცავს მრავალფეროვანი შრომის ბაზრის შექმნას, თანაბარი ანაზღაურების უზრუნველყოფას (მით უმეტეს, როცა საქართველოში ქალებსა და კაცებს შორის 65 %-იანი სახელფასო სხვაობა

არსებობს) [14] და ისეთი პოლიტიკებისა და პროცედურების დანერგვას, რომლებიც გამორიცხავს დისკრიმინაციულ პრაქტიკას სამუშაო ადგილებზე და ხელს უწყობს ოჯახებს – მაგალითად, მოქნილი სამუშაო პირობები და მშობლების ანაზღაურებადი შვებულება [15], [16]. ასევე მნიშვნელოვანია სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ მკაცრი რეგულაციების არსებობა, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს ყველასთვის.

- **ქმნიან პროდუქტებს ან სერვისებს, რომლებიც პირდაპირ ეხმარება ქალებსა და გოგონებს:** ეს გულისხმობს ისეთი კომპანიების პოვნასა და მხარდაჭერას, რომელთა ძირითადი პროდუქტები ან სერვისებიც პირდაპირ კავშირშია ქალების საჭიროებებთან, მაგალითად: ჯანდაცვა, განათლება ან ტექნოლოგიები, რომლებიც ამცირებს აუნაზღაურებელ შრომაზე დახარჯულ დროს [17]. ეს ასევე მოიცავს გენდერულად მგრძნობიარე გადაწყვეტილებების მხარდაჭერას ქალთა ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის ბარიერების დასაძლევად. მაგალითად: ინკლუზიური ფინანსური ინსტრუმენტების შექმნა, ინსტიტუციური პრაქტიკების რეფორმა და წვდომის გაზრდა სპეციალურად შექმნილი ფინანსური და არაფინანსური პროდუქტების, ალტერნატიული საკრედიტო შეფასებების, ფინანსური წიგნიერების პროგრამებისა და სოფლად ხელმისაწვდომობის გაფართოების გზით.
- **უზრუნველყოფენ გენდერული საკითხების ჩართვას მიწოდების ჯაჭვებში:** ეს ეხმარება კომპანიებს, შეისყიდონ პროდუქცია ქალთა ბიზნესებისგან და გამოიყენონ გენდერულად ინკლუზიური სადისტრიბუციო ქსელები. ასეთი მიდგომა დადებით გავლენას მთელ მიწოდების ჯაჭვზე ავრცელებს, რაც ზრდის ქალ მეწარმეთა რიცხვს და მივყავართ უფრო სამართლიანი ეკონომიკური ზრდისკენ [18]. ეს ასევე მოიცავს იმ კომპანიებიდან სახსრების მოპოვებას, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ მათი პროდუქტები, მომსახურება და ობიექტები არ გამოიყენებოდეს ადამიანებით ვაჭრობის ან შრომითი და სექსუალური ექსპლუატაციისთვის.
- **წყვეტენ სისტემურ პრობლემებს:** GLI-ის საქართველოში დანერგვისთვის მნიშვნელოვანია ისეთი ინიციატივების დაფინანსება, რომლებიც ამაღლებს ცნობიერებას გენდერული თანასწორობის შესახებ, ავითარებს და აფინანსებს ზრუნვის სერვისებს, რათა ზრუნვის საქმეში მეტი კაცი ჩაერთოს და ყველა მშობელს ჰქონდეს დასაქმების თანაბარი შესაძლებლობა. ასევე მოიცავს ისეთი საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების მხარდაჭერას, რომლებიც ქალებს ეხმარება უფრო მაღალანაზღაურებად სფეროებში დასაქმდნენ (მაგ: STEM მიმართულებები, სადაც ისინი ამჟამად ნაკლებად არიან წარმოდგენილნი) [19], [20].

არსებითად, GLI საქართველოში გამიზნულ ქმედებებზე დგას. იგულისხმება, რომ საჭიროა ინვესტიციების ფორმისა და შინაარსის ცვლილება. ისეთი ინვესტიციები, რომლებიც არ ითვალისწინებს გენდერს, თანასწორობასა და მრავალფეროვნებას, იცვლება ინვესტიციებით, რომლებიც მიზანმიმართულად მუშაობს დადებითი ცვლილებების შესაძლებლობების მოძიებაზე.

3.4. GLI-ის გავრცელებული, საქართველოსთვის რელევანტური სტრატეგიები

საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობითა და საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით, არსებობს რამდენიმე GLI სტრატეგია, რომელიც შეიძლება ეფექტიანი იყოს საქართველოსთვის:

ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიაა, **ქალების მიერ დაფუძნებულ ან მათ მიერ მართული ბიზნესებში ინვესტირება.** ეს პირდაპირი გზით გადაჭრის დისბალანსის პრობლემას საკითხებში: ვინ ხსნის ბიზნესს და ვინ იღებს ფინანსებს. ქალების მიერ დაარსებულ ან მართულ მცირე და საშუალო ბიზნესებში ინვესტირება საფინანსო ორგანიზაციებს მისცემს აუთვისებელ ბაზარზე გასვლის საშუალებას, რაც დაეხმარება ეკონომიკურ ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას [21].

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა იმ კომპანიების მხარდაჭერა, რომლებიც **ხელს უწყობენ სამუშაო ადგილზე გენდერულ თანასწორობას.** ეს მოიცავს რამდენიმე მიმართულებას:

- **მმართველობა:** იმ კომპანიების მხარდაჭერა და ინვესტირება, სადაც დირექტორთა საბჭოებისა და მმართველი პოზიციების 30 %-ს ქალები შეადგენენ. [23], [24].
- **მრავალფეროვანი გუნდი:** იმ კომპანიების მხარდაჭერა, რომლებიც იღწვიან გენდერული ბალანსისკენ თავის გუნდებში და აქვთ კონკრეტული მიზანი, დაასაქმონ თანაბარი რაოდენობის ქალი სხვადასხვა დონეზე.
- **სამართლიანი პოლიტიკა:** კომპანიების წახალისება, შეიმუშავონ ოჯახებისთვის ხელსაყრელი პოლიტიკა, მოქნილი სამუშაო გრაფიკი, მშობლის ანაზღაურებადი შვებულება და შევიწროების საწინააღმდეგო მკაცრი წესები. ეს მნიშვნელოვანია, რათა ქალებმა შეინარჩუნონ სამსახური და შეძლონ განვითარება [25]. ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ყველამ სამართლიანად მიიღოს ანაზღაურება ერთი და იგივე სამუშაოსთვის [26].
- **პროდუქტები და სერვისები:** ისეთი ბიზნესების მხარდაჭერა, რომლებიც სპეციალურად ქალებისა და გოგოების საჭიროებებზე მორგებულ პროდუქციას ან სერვისებს ქმნიან [27].
- **მიწოდების ჯაჭვი:** ისეთი პრაქტიკის ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა მონაწილეობასა და სარგებელს კომპანიის საქმიანობის ყველა ეტაპზე [28].

სქოლიო:

[1-2] როგორ განახორციელოთ ინვესტირება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით: სახელმძღვანელო ინვესტორებისთვის განვითარებად ბაზრებზე. (2020). [ანგარიში]. ქალებში ინვესტირება

[3] ბ. ჰერცბერგი და ლ. სისომბატი (რედ). (2016). გენდერულად ინფორმირებული საჯარო-პირადი დიალოგი: პრაქტიკული შენიშვნა ქალი მეწარმეების ხმების ინკლუზიის შესახებ. მსოფლიო ბანკი.

[4-18] როგორ განახორციელოთ ინვესტირება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით: სახელმძღვანელო ინვესტორებისთვის განვითარებად ბაზრებზე. (2020). [ანგარიში]. ქალებში ინვესტირება.

[19] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). სვეტი #2 | სექტორის დივერსიფიკაცია და უნარების განვითარება. [შეხვედრის ჩანაწერები].

[20] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). სვეტი #1 | გენდერული სხვაობების დაძლევა [შეხვედრის ჩანაწერები].

[21] როგორ განახორციელოთ ინვესტირება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით: სახელმძღვანელო ინვესტორებისთვის განვითარებად ბაზრებზე. (2020). [ანგარიში]. ქალებში ინვესტირება.

[22] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024). ქალები და კაცები საქართველოში: სტატისტიკური გამოცემა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (გვ. 104).

[23] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). სვეტი #1 | გენდერული სხვაობების დაძლევა. [შეხვედრის ჩანაწერები].

[24] საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების განხლებული ჩარჩო. (2025) სვეტი 1: გენდერული სხვაობების დაძლევა. [პრეზენტაციის სლაიდი].

[25] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). სვეტი #3 | საქმისა და პირადი ცხოვრების ინტეგრაცია და კეთილდღეობა. [შეხვედრის ჩანაწერები].

[26] საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების განხლებული ჩარჩო. (2025) სვეტი 1: გენდერული სხვაობების დაძლევა.

[27-28] როგორ განახორციელოთ ინვესტირება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით: სახელმძღვანელო ინვესტორებისთვის განვითარებად ბაზრებზე. (2020). [ანგარიში]. ქალებში ინვესტირება.

4. საქართველოში GLI-ის განხორციელების დასაბუთება და ბიზნესარგუმენტები

ნაბიჯი, რომელიც ქმნის დიდ შესაძლებლობებს და აჩქარებს მდგრადი ზრდისკენ სვლას. ეს ნაწილი განმარტავს, თუ რატომ არის GLI მნიშვნელოვანი სოციო-ეკონომიკური თვალსაზრისით.

4.1. რატომ არის GLI გამართლებული ეკონომიკური თვალსაზრისით

GLI გვთავაზობს რამდენიმე მკაფიო ეკონომიკურ სარგებელს, რაც ტრადიციული სოციალური მიზნების ფარგლებს სცდება.

პირველ რიგში, ეს გვეხმარება **აღმოვაჩინოთ ბაზრები და ნიჭი,** რომლებიც ამჟამად არ ხვდება ჩვენი მხედველობის არეში. ქალების მფლობელობაში არსებული კომპანიები ხშირად ემსახურებიან კლიენტთა უნიკალურ ჯგუფებს ან მუშაობენ სექტორებში, რომლებსაც ტრადიციული ინვესტორები ვერ ამჩნევენ [1]. ასეთი კომპანიების აქტიური მოძიებითა და მხარდამჭერით ინვესტორებს შეუძლიათ აღმოაჩენონ ზრდის ახალი შესაძლებლობები და გახადონ თავისი ინვესტიციები უფრო მრავალფეროვანი. გარდა ამისა, საქართველოში ქალები ნიჭის დიდ რესურსს წარმოადგენენ და მათი პოტენციალი სხვადასხვა სფეროსა და მმართველ პოზიციებზე სრულად არ გამოიყენება [2], [3]. როცა ჩვენ ინვესტიციას ვძებთ გენდერული თანასწორობის მხარდამჭერ კომპანიებში, ისინი იღებენ წვდომას უნარების, იდეებისა და აზროვნების მეთოდების უფრო ფართო სპექტრზე. მთელ მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, შრომის ბაზარზე ქალების მეტი ჩართულობით შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ზრდა. შეფასების მიხედვით, საქართველოში ამ სხვაობის აღმოფხვრის შედეგად შესაძლებელია ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) 10-11 %-ით გაზრდა [4], [5].

> კერძოდ, თუ შრომისუნარიანი ასაკის ქალები, რომლებიც ამჟამად არ არიან ჩართულები შრომის ბაზარში, იმდენივე პროცენტით ჩაერთვებიან, რამდენითაც კაცები, საქართველოს ეკონომიკა 11.3 % მშპ-ს ექვივალენტის ზრდას მიიღებდა. ამ დანაკარგების დაახლოებით 64 %-ის მიზეზი დაკავშირებულია მეწარმეობაში გენდერული სხვაობით, ხოლო დანარჩენი 36 % – შრომის ბაზარზე ჩართულობის სხვაობით.

GLI ასევე მძლავრი ინსტრუმენტია **ინოვაციების წახალისებისა და ბიზნესში კონკურენტიანობის მატებისთვის.** მრავალფეროვანი გუნდები, განსაკუთრებით, კარგი გენდერული ბალანსის შემთხვევაში, სტაბილურად უფრო შემოქმედებითები არიან, უკეთ მართავენ პრობლემურ საკითხებს და უფრო სწრაფად ადაპტირდებიან [6]. როცა ქალები მართვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობენ, კომპანიები უფრო დიდი ალბათობით ქმნიან ახალ პროდუქტებს, სერვისებსა და ბიზნესმოდელებს, რომლებიც უფრო მეტ კლიენტს იზიდავს. ინოვაციურობის ასეთი ზრდა პირდაპირპროპორციულად ხდის ბიზნესს უფრო კონკურენტუნარიანს, როგორც შიდა, ისე გარე ბაზარზე. ქალ მეწარმეთა მხარდაჭერა ასევე ხელს უწყობს უფრო აქტიური კერძო სექტორის განვითარებას, ჯანსაღ კონკურენციას და ზოგადად, უფრო ეფექტიანს ხდის ეკონომიკას [7].

ფინანსური თვალსაზრისით, GLI-ს ასევე შეუძლია **ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესება და რისკების შემცირება.** სულ უფრო მეტი კვლევა აჩვენებს მკაფიო კავშირს მმართველობაში გენდერულ მრავალფეროვნებასა და საუკეთესო ფინანსურ შედეგებს შორის. მაგალითად, ქალების მიერ დაფუძნებული კომპანიები ხშირად აჩვენებენ ბევრად უკეთეს შედეგებს – ერთი-ერთი კვლევის თანახმად მათ 63 %-ით უკეთესი შედეგები აქვთ მხოლოდ კაცების მიერ დაფუძნებულ და მართულ კომპანიებთან შედარებით [8]. გარდა ამისა, უფრო მაღალი გენდერული მრავალფეროვნების მაჩვენებლების მქონე კომპანიები (მაგალითად ქალი გენერალური დირექტორებით ან დირექტორთა საბჭოსა და მმართველ პოზიციებზე საკმარისი რაოდენობის ქალებით) უფრო მაღალ შემოსავალს და ნაკლებ რისკს აჩვენებენ [9]. ამით მტკიდება, რომ GLI უბრალოდ ქველმოქმედება არ არის; ეს არის გონივრული ფინანსური სტრატეგია, რომელიც ამცირებს ერთგვაროვან აზროვნებასთან დაკავშირებულ რისკებს და ხელს უწყობს უფრო მდგრადი გრძელვადიანი ღირებულების შექმნას.

და ბოლოს, GLI გვეხმარება ეროვნული მიზნების მიღწევაში. საქართველომ აიღო ეკონომიკის ინკლუზიური განვითარების პასუხისმგებლობა და მუშაობს მდგრადი განვითარების მიზნებზე, განსაკუთრებით მდგრადი განვითარების მიზანი 5-ისა (გენდერული თანასწორობა) და მდგრადი განვითარების მიზანი 8-ის (კარგი სამუშაო ადგილები და ეკონომიკური ზრდა) მიმართულებით [10]. GLI-ის პრინციპების გამოყენება პირდაპირპროპორციულად ხელს შეუწყობს ისეთი ეროვნული პრიორიტეტების განხორციელებას, როგორიცაა ქალების ჩართულობის ზრდა შრომის ბაზარზე, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ყველასთვის. ეს ასევე აძლიერებს პარტნიორობას სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის, რადგან ეფექტიანად მიმართავს ფინანსურ რესურსებს საზოგადოების საკეთილდღეოდ.

რატომ გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირება?

ეს გონივრული ეკონომიკაა! ქალების ჩართულობით ჩვენ შეგვიძლია:

- **აღმოვაჩინოთ ახალი ბაზრები და ნიჭი:** ხელიდან გაშვებული შესაძლებლობები.
- **წავახალისოთ ინოვაციები:** მრავალფეროვანი გუნდები უფრო შემოქმედებითები არიან.
- **გავზარდოთ შემოსავალი:** გენდერულად მრავალფეროვანი კომპანიები ხშირად უკეთეს შედეგებს აჩვენებენ.
- **შევამციროთ რისკები:** თავიდან ავიცილოთ ვიწრო აზროვნების ხაფანგები.
- **მივაღწიოთ ეროვნულ მიზნებს:** შევიტანოთ პირდაპირი წვლილი საქართველოს განვითარებაში.

4.2. არგუმენტაცია სოციალური ეფექტის სასარგებლოდ

ცხადი ეკონომიკური მიზეზების გარდა, GLI-ს ასევე აქვს ძლიერი საფუძველი პოზიტიური სოციალური ზემოქმედების კუთხით, რადგან ხელს უწყობს საქართველოში უფრო სამართლიანი საზოგადოების შექმნას.

პირველ რიგში, GLI მნიშვნელოვან როლს ასრულებს **გენდერული თანასწორობის ხელშეწყობასა და ქალთა გაძლიერებაში (მდგრადი განვითარების მიზანი** 5). ქალთა მიერ მართულ ბიზნესებში მიზანმიმართულად ინვესტირებით, სამუშაო ადგილზე სამართლიანობის ხელშეწყობითა და ქალებისთვის დამხმარე პროდუქტების შექმნით, GLI ეწინააღმდეგება უსამართლო სისტემებს და ეხმარება

ქალებს სრულად გამოავლინონ თავიანთი პოტენციალი. ეს მოიცავს არათანაბარი ანაზღაურების პრობლემის მოგვარებას, ქალების მმართველ პოზიციებზე დანიშვნის ხელშეწყობას და უფრო უსაფრთხო და მყუდრო სამუშაო ადგილების შექმნას. ამ ყველაფერს მივყავართ საზოგადოებისკენ, სადაც შესაძლებლობები უფრო თანაბრად ნაწილდება, ხოლო ქალები მეტად აკონტროლებენ თავიანთ ეკონომიკურ ცხოვრებას [11].

GLI ასევე ხელს უწყობს **უფრო ფართო სოციალური შედეგების მიღწევას,** განსაკუთრებით ჯანდაცვისა და განათლების სფეროებში. როცა ქალები ეკონომიკურად დამოუკიდებლები არიან, ისინი, როგორც წესი, თავისი შემოსავლის დიდ ნაწილს ოჯახსა და საზოგადოებაში აბრუნებენ. ეს აუმჯობესებს განათლებისა და ბავშვების ჯანმრთელობის ხარისხს და ზრდის კეთილდღეობის ზოგად დონეს [12]. ჯანდაცვის სფეროში ქალთა საჭიროებებზე ორიენტირებულ სერვისებში ინვესტიცია ან სამეცნიერო და მათემატიკური მიმართულებებით საგანმანათლებლო პროგრამები გოგონებისთვის, პოტენციურად ქმნის დომინოს ეფექტს და აძლიერებს მომავალი თაობების ადამიანურ კაპიტალს [13].

და ბოლოს, GLI-ის დანერგვა მნიშვნელოვნად **აუმჯობესებს კომპანიის რეპუტაციას და მის ურთიერთკავშირს დაინტერესებულ მხარეებთან (**ESG). დღეს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ბიზნესის ზეგავლენა გარემოზე, საზოგადოებასა და მმართველობაზე (ESG) სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ინვესტორების, კლიენტებისა და თანამშრომლებისთვის. კომპანიები, რომლებიც ღიად უჭერენ მხარს გენდერულ თანასწორობას ინვესტიციებში, აყალიბებენ უფრო ძლიერ ბრენდებს, იზიდავენ საუკეთესო სპეციალისტებს და იმსახურებენ მეტ ნდობას. ეს აჩვენებს, რომ ისინი საზოგადოების პასუხისმგებლიანი წევრები არიან, რაც მათ გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო მოქნილ და მდგრად ერთდეულებად ქცევაში დაეხმარება [14].

4.3. ბიზნესარგუმენტების წარდგენა საქართველოში: კონკრეტული შესაძლებლობები

საქართველოში არგუმენტები GLI-ის სასარგებლოდ კონკრეტულ, რეალურ შესაძლებლობებად იქცევა სხვადასხვა სფეროსა და დაფინანსების ფორმებისთვის.

ერთ-ერთი დიდი შესაძლებლობა **საქართველოს ძირითადი ინდუსტრიების პოტენციალის წარმოჩენაა.** მომსახურების სექტორი, რომელიც ამჟამად ქვეყნის ეკონომიკის ლიდერ პოზიციაზეა და რომელშიც ქალების 53 %, ხოლო კაცების 41 %-ია დასაქმებული (2018 წლის გამოკითხვის მიხედვით), მრავალ შესაძლებლობას ქმნის GLI-ის განხორციელებისთვის. ამ სექტორის სწრაფად ზრდადმა მიმართულებებმა, მაგალითად, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა და ფინანსურმა სერვისებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღოს ქალთა მიერ მართულ ტექნოლოგიურ სტარტაპებში ან ქალებზე ორიენტირებულ ფინანსურ პროდუქტებში ინვესტირებით [15], [16]. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქალები არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი STEM სფეროში (STEM ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა მხოლოდ 35-39 %-ია ქალი), მიზნობრივმა ინვესტიციებმა ამ მიმართულებით განათლებასა და ბიზნესებში შესაძლოა მნიშვნელოვნად წაახალისოს ინოვაციები და ეკონომიკური ზრდა [17]. ასეთივე სიტუაციაა სოფლის მეორნეობაში, სადაც ქალები სამუშაო ძალის 47.7 %-ს შეადგენენ. არსებობს ქალი ფერმერების მხარდაჭერაში ინვესტიცირების შესაძლებლობები, რაც მოიცავს მიწაზე, დაფინანსებასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის ზრდას [18]. ისეთ ინდუსტრიებში, როგორიცაა მშენებლობა ან ლოგისტიკა, რომლებშიც ტრადიციულად კაცები დომინირებდნენ, შესაძლებელია მათთვის არატიპურ პოზიციებზე ქალთა მხარდაჭერის სტრატეგიების გამოყენება. ეს შეიძლება გულისხმობდეს შრომის მოქნილ პირობებს და უსაფრთხოების წესების დაცვას, მათ შორის გენდერული ნიშნით შევიწროების გათვალისწინებით [19].

იმ **კონკრეტული ფინანსური სხვაობების აღმოფხვრა,** რომლებსაც ქალი მეწარმეები აწყდებიან, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბიზნესშესაძლებლობაა. ქალებს ხშირად უფრო უჭირთ კრედიტის

ან დაფინანსების მოპოვება, ვიდრე კაცებს; მიზეზებად სახელდება: არასათანადო სახსრები გირაოსთვის, მხარდაჭერის მცირე ქსელი და ბანკის წინასწარგანწყობა [20]. სპეციალურად ქალებისთვის შექმნილი ფინანსური პროდუქტების, მაგალითად მიზნობრივი სესხების ან საკრედიტო ხაზების უზრუნველყოფა, შესაძლოა დაეხმაროს ქალების მფლობელობაში არსებულ ბიზნესებს ზრდაში. ეს ბიზნესები დიდ ბაზარს წარმოადგენენ, რომელიც ამჟამად არასათანაოდ არის ათვისებული. სს მიკრობანკ „კრისტალის" საქართველოში პირველი გენდერული ობლიგაცია შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება კაპიტალის გამოყენება ფინანსირების სხვაობის პირდაპირპროპორციულად აღმოსაფხვრელად [21].

ექსპერტებთან ჩვენი საუბრების დასკვნები (KII) ამ შესაძლებლობის დამატებითი მტკიცებულებაა. ექსპერტები ამ სხვაობების აღმოფხვრაში დიდ სარგებელს ხედავენ, განსაკუთრებით თუ ეს ქალების შრომის ბაზარში მეტად ინტეგრაციისა და ბიზნესების შესაქმნელად მათი წახალისების გზით ხდება. მათ ხაზი გაუსვეს, რომ შრომის სფეროში ინვესტირებას (მაგ: ბავშვებზე ზრუნვის სერვისები) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქალებისთვის ეკონომიკაში ჩასართველად დროის გამოსათავისუფლებლად. ხარისხიანი გენდერულად სპეციფიკური მონაცემებისა და მკაფიო ჩარჩოების ამჟამინდელი დეფიციტი სერიოზულ პრობლემად მიიჩნევა, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს არის მდგრადი სისტემის შექმნის შესაძლებლობა, რომელიც გენდერულად მგრძნობიარე ინვესტიციების სწორი მიმართულებით გადამისამართებას შეძლებს. ბიზნესსაზოგადოებაში შეიმჩნევა დახმარებისა და გამოცდილების გაცვლის ინსტრუმენტებისადმი დიდი ინტერესი. ეს ინსტრუმენტები საჭიროა GLI-ის უფრო ეფექტიანად განსახორციელებლად. [22], [23].

სქოლიო:

1] ბ. ჰერცბერგი და ლ. სისომბატი (რედ). (2016). გენდერულად ინფორმირებული საჯარო-პირადი დიალოგი: პრაქტიკული შენიშვნა ქალი მეწარმეების ხმების ინკლუზიის შესახებ. მსოფლიო ბანკი. (გვ. 13).

[2] საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს პროექტი. (2025). [პრეზენტაციის სლაიდი]. გენდერული ასპექრების გათვალისწინებით ინვესტირების ბიზნეს არგუმენტი. [პრეზენტაციის სლაიდები].

[3] მსოფლიო ბანკის ჯგუფი. (2025). საქართველოს გენდერული ფაქტების ცხრილი. მსოფლიო ბანკის გენდერული მონაცემების პორტალი.

[4] დ. კუბერესი & მ. ტეიგნიერი (2016). გენდერული უთანასწორობა და ეკონომიკური ზრდა: კრიტიკული მიმოხილვა. ეკონომიკური კვლევების ჟურნალი, 30(2), 429–448.

[5] მსოფლიო ბანკი. (2022). საქართველო - ქვეყნის პარტნიორობის ჩარჩოს პროდუქტიულობისა და სწავლის მიმოხილვა პერიოდისთვის. მსოფლიო ბანკის ჯგუფი. (გვ. 9).

[6] (გვ. 4). მსოფლიო ბანკის ჯგუფი. (2012). მსოფლიო განვითარების ანგარიში 2012: გენდერული თანასწორობა და განვითარება. მსოფლიო ბანკის ჯგუფი. (გვ. 4).

[7] ბ. ჰერცბერგი და ლ. სისომბატი (რედ). (2016). გენდერულად ინფორმირებული საჯარო-პირადი დიალოგი: პრაქტიკული შენიშვნა ქალი მეწარმეების ხმების ინკლუზიის შესახებ. მსოფლიო ბანკი. (გვ. 5).

[8] First Round Capital. (2015). 10-წლიანი პროექტი: რას ვისწავლეთ სტარტაპის წარმატების შესახებ. ამოღებულია შემდეგი გვერდიდან https://10years.firstround.com/ (იხ. ქალების მიერ დაფუძნებული კომპანიების სექცია)

[9] IFC (2017) ქალებში ინვესტირება: ბიზნეს საქმის ახალი მტკიცებულებები. ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: მსოფლიო ბანკის ჯგუფი.

[10] GLI-ის ჩარჩოს პროექტი. (2025). გლობალური მიზნები: მდგრადი განვითარების მიზნები. [პრეზენტაციის სლაიდები].

[11] მსოფლიო ბანკის ჯგუფი. (2012). მსოფლიო განვითარების ანგარიში 2012: გენდერული თანასწორობა და განვითარება. მსოფლიო ბანკის ჯგუფი. (გვ. 3).

[12] ბ. ჰერცბერგი და ლ. სისომბატი (რედ). (2016). გენდერულად ინფორმირებული საჯარო-პირადი დიალოგი: პრაქტიკული შენიშვნა ქალი მეწარმეების ხმების ინკლუზიის შესახებ. მსოფლიო ბანკი. (გვ. 14).

[13] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). სვეტი #2 | სექტორის დივერსიფიკაცია და უნარების განვითარება. [შეხვედრის ჩანაწერები].

[14] გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირების 3 მთავარი მოტივაცია. [პრეზენტაციის სლაიდები].

[15] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024). ქალები და კაცები საქართველოში: სტატისტიკური გამოცემა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (გვ. 66)

[16] მსოფლიო ბანკი. (2021). ქვეყნის გენდერული შეფასება: საქართველო. ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: მსოფლიო ბანკის ჯგუფი.

[17] იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი. (2021). ქალები მეცნიერებაში. აღებულია გვერდიდან: http://uis.unesco.org/en/topic/women-science იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი. (2021).

[18] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024). ქალები და კაცები საქართველოში: სტატისტიკური გამოცემა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (გვ. 71).

[19] საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი). (2021). ქალები და მობილობა: ქალთა ყოველდღიური მოძრაობის გენდერული ასპექტები. [PDF დოკუმენტი]. (გვ. 4).

[20] ბ. ჰერცბერგი და ლ. სისომბატი (რედ). (2016). გენდერულად ინფორმირებული საჯარო-პირადი დიალოგი: პრაქტიკული შენიშვნა ქალი მეწარმეების ხმების ინკლუზიის შესახებ. მსოფლიო ბანკი. (გვ. 26).

[21] GLI-ის ჩარჩოს პროექტი. (2025). GLI-ის ვალის მაგალითი: გენდერული კავშირები. [პრეზენტაციის სლაიდები].

[22] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). თითოეული მიმართულებით განხილული საკითხები. [შეხვედრის ჩანაწერები].

[23] GLI-ის ჩარჩოს პროექტი. (2025). გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირების მიდგომის დანერგვის გამოწვევები. [პრეზენტაციის სლაიდები].

5. GLI-ის დანერგვა: პრაქტიკული გზამკვლევი ქართველი აქტორებისთვის

იმისათვის, რომ GLI-იმ საქართველოში ნამდვილად მოიკიდოს ფეხი და განვითარდეს, საჭიროა ფრთხილი ნაბიჯები როგორც სამთავრობო უწყებების, ისე კერძო ბიზნესების მხრიდან. შემდეგ ნაწილში გთავაზობთ პრაქტიკულ გზამკვლევს, რომელშიც აღწერილია სტრატეგიები და თითოეული ჯგუფისთვის აუცილებელი მხარდაჭერა GLI-ის წარმატებით განსახორციელებლად.

5.1. გზამკვლევი სახელმწიფო უწყებებისთვის (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, „აწარმოე საქართველოში“, საპენსიო ფონდი და ა.შ.)

GLI-ის ეფექტიანად განსახორიელებად სახელმწიფო ორგანოებს სჭირდებათ გეგმა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს, იქნება ეს ცნობიერების საბაზისო ამაღლება თუ პოლიტიკებისა და მონაცემთა მართვის სიღრმისეული ცვლილება.

სახელმწიფო სააგენტოებისთვის კარგი პირველი ნაბიჯია გუნდში ცნობიერების ამაღლება და უნარების განვითარება. ეს გულისხმობს ტრენინგებისა და სასწავლო ვორკშოპების ჩატარებას ისეთი საკვანძო სამინისტროებისა და სააგენტოებისთვის, როგორიცაა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, „აწარმოე საქართველოში“ და საპენსიო ფონდი. ამ ღონისძიებებზე უნდა განიმარტოს, რა არის GLI, რა უპირატესობები აქვს და როგორ შეიძლება მისი პრაქტიკულად განხორციელება. მნიშვნელოვანი თანმდევი ნაბიჯია **მიმდინარე პოლიტიკის ყოველმხრივი ანალიზი,** რათა გამოვლინდეს „გენდერულად ნეიტრალური“ წესები ან საინვესტიციო მანდატები, რომლებიც თავისდაუნებურად ხელს უშლის გენდერულად ინკლუზიური შედეგების მიღწევას [1].

ცნობიერების ამაღლების შემდეგ, აუცილებელია **GLI-ის პოლიტიკაში დანერგვა.** ეს ნიშნავს GLI-ის პრინციპების ინტეგრაციას სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ძირითად მიმართულებებში. მაგალითად, სახელმწიფო ფონდების საინვესტიციო გეგმები უნდა ითვალისწინებდეს გენდერულ ასპექტებს. საგრანტო და საკრედიტო პროგრამები, რომლებიც ხორციელდება ისეთი სტრუქტურების მიერ, როგორიცაა „აწარმოე საქართველოში“ და GITA, უნდა იყენებდნენ გენდერულად მგრძნობიარე კრიტერიუმებს. შესყიდვების სახელმწიფო პოლიტიკაშიც კი შეიძლება პრიორიტეტი მიენიჭოს კომპანიებს, რომლებიც გენდერული თანასწორობის ცალკეული სტანდარტებს იცავენ ან ქალების

მიერ არის შექმნილი/მართული. ამ გზით, სახელმწიფო ხარჯებს შეუძლია აქტიურად წაახალისოს გენდერულად ინკლუზიური ეკონომიკური აქტივობა.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინვესტიციებისა და დამხმარე პროგრამებისთვის **GLI-ის სკრინინგისა და შემოწმების მძლავრი ინსტრუმენტების შემუშავება.** ეს გულისხმობს სტანდარტული საკონტროლო სიების შექმნას და გენდერულ თანასწორობაზე პროექტების გავლენის ანალიზის მეთოდების შემუშავებას, რაც ეხმარება სამთავრობო ორგანოებს გადაწყვიტონ, თუ რომელი პროექტები ან ბიზნესები უწყობს ხელს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას. გარდა ამისა, გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების მხარდაჭერა ნიშნავს, რომ რესურსები სხვადასხვა სექტორებში არსებული კონკრეტული გენდერულ უთანასწორობების გათვალისწინებით განაწილდება [2].

პროგრესზე დაკვირვებისა და სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად სახელმწიფო სტრუქტურობმა უნდა გაწერონ მონაცემთა შეგროვების მოთხოვნები. ეს ნიშნავს, რომ ყველა, ვინც სახელმწიფო მხარდაჭერას ან დაფინანსებას იღებს, ვალდებულია წარმოადგინოს გენდერულად სპეციფიკური მონაცემები. ეს მოიცავს ინფორმაციას, მათ შორის ბიზნესების ქალი მფლობელების, სხვადასხვა პოზიციებზე მათი დაკავებულობისა და ფინანსებზე წვდომის შესახებ. ეს მონაცემები შექმნის მკაფიო წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს GLI [3].

GLI-ის პრინციპების სხვადასხვა ინდუსტრიის სპეციფიკაზე მოსარგებად მნიშვნელოვანია **სექტორზე მორგებული მიდგომები.** მაგალითად, ტექნოლოგიის სექტორში ეს შეიძლება გულისხმობდეს ისეთ სასწავლ პროგრამებში ან სტარტაპებში ინვესტირებას, რომლებიც წაახალისებს ქალების ჩართულობას STEM სფეროში (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, მათემატიკა). მსხვილ სამშენებლო პროექტებში ეს შეიძლება გამოიხატოს ქალების დასაქმების მოთხოვნით, უსაფრთხოების წესების დანერგვით (გენდერული ნიშნით შევიწროების გათვალისწინებით), ასევე ანალიზით – რომელი ახალი გზები ან შენობები ზემოქმედებს ქალების გადაადგილებასა და სერვისებზე წვდომაზე [4]. სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი საკითხია ქალების თანაბარი წვდომა მიწაზე, სესხებსა და აგროტრენინგებზე [5].

ყველა ამ ზომის მისაღებად სახელმწიფო სააგენტოებს სჭირდებათ **სპეციალიზებული მხარდაჭერა და უფრო კარგი კოორდინაცია ერთმანეთს შორის.** ეს გულისხმობს ძირითად სამინისტროებში GLI-ზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნას; ისეთ სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის წახალისებას, როგორიცაა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქსტატი და საქართველოს ეროვნული ბანკი; ასევე საერთაშორისო პარტნიორების ტექნიკური მხარდაჭერას GLI-ის განხორციელებისა და მონიტორინგისთვის საჭირო უნარებისა და ინსტრუმენტების ფორმირებისთვის. ჩვენმა საუბრებმა ექსპერტებთან (KII) აჩვენა, რომ გამართული კოორდინაცია ყველა ამ სტრუქტურას შორის კრიტიკულად მნიშვნელოვანია GLI-ის მდგრადი სისტემის შესაქმნელად [6].

5.2. გზამკვლევი კერძო სექტორისთვის (ბანკები, ფინანსური ინსტიტუტები, ინვესტორები)

კერძო საფინანსო ორგანიზაციებისა და ინვესტორებისთვის საქართველოში GLI-ის დანერგვა ნიშნავს ინვესტიციებისადმი მიდგომის გადააზრებას. საჭიროა გენდერული ასპექტების გათვალისწინება ინვესტირების პროცესის ყველა ეტაპზე.

დასაწყისისთვის, კერძო კომპანიებმა უნდა გაწერონ **მკაფიო სტრატეგია და მიზანი GLI-ის ფარგლებში,** რომელიც მათ ბიზნესამოცანებსა და რისკის დასაშვებ დონეს შეესაბამება. ეს შეიძლება მოიცავდეს საპილოტე GLI პროექტებს მიდგომის ეფექტიანობის შესამოწმებლად; ასევე პერსონალის გადამზადებას (მაგალითად საკრედიტო ოფიცრებისა და საინვესტიციო გუნდების), რათა მათ შეეძლოთ გენდერულად მგრძნობიარე აზროვნება და შესაბამისად მოქმედება. მსგავსს გადამზადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს GLI-შესაძლებლობების გამოვლენისა და გამოყენებისთვის [7].

ინვესტირების პროცესის ყოველ ეტაპზე GLI-ის ინტეგრაციისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია:

- **შეთავაზებების მოძიება:** აქტიურად მოძებნეთ GLI-ის შესაძლებლობები ქალი მეწარმეების ჯგუფებთან საუბრით, სპეციალური საინფორმაციო კამპანიის ჩატარებით და იმ პლატფორმების გამოყენებით, რომლებიც წარმოაჩენს ქალების საკუთრებაში არსებულ/მართულ ბიზნესებს ან გენდერული თანასწორობის ხელშემწყობ ბიზნესებს.
- **ინვესტიციების შემოწმება (სათანადო შემოწმება):** პოტენციური ინვესტიციის ანალიზისას გამოიყენეთ გენდერული პერსპექტივა. ეს ნიშნავს იმის შემოწმებას, თუ რამდენი ქალია მმართველ პოზიციაზე და სამუშაო ძალაში; რამდენად სამართლიანია შიდა პოლიტიკა და რა გავლენა აქვს კომპანიის პროდუქციას ან სერვისებს ქალებზე საზოგადოებაში.
- **გადაწყვეტილების მიღება და პირობების დადგენა:** საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას, ხელშეკრულებებში ჩართეთ გენდერთან დაკავშირებული მიზნები (შესრულების ძირითადი მაჩვენებლები – KPI). თავდაპირველად ეს შეიძლება არასავალდებულო იყოს, მაგრამ დროთა განმავლობაში, ამ მიზნების მიღწევა შეიძლება ფინანსურ ჯილდოებთან იყოს დაკავშირებული.
- **ინვესტიციების მართვა და ღირებულების შექმნა:** აქტიურად გაუწიეთ კონსულტაციები კომპანიებს, რომლებშიც ინვესტიცია განახორციელეთ, ურჩიეთ, როგორ გააუმჯობესონ გენდერული თანასწორობა. ეს შეიძლება მოიცავდეს კონსულტაციებს სამართლიანი დასაქმების, თანაბარი ანაზღაურების ან ოჯახებისთვის ხელსაყრელი პოლიტიკის შესახებ, რაც, საბოლოო ჯამში, ინვესტიციას უფრო ღირებულს გახდის [8].
- **ინვესტიციის შეწყვეტა:** ინვესტიციის გაყიდვის ან დასრულების შემდეგ გაითვალისწინეთ გენდერული ეფექტი. წარმოაჩინეთ, როგორ შეუწყო ინვესტიციამ ხელი გენდერულ თანასწორობას და მიიზიდეთ გენდერულად მგრძნობიარე ინვესტორები.

GLI-ის საკვანძო ელემენტებია ისეთი ფინანსური პროდუქტების შექმნა, რომლებიც გენდერულ სპეციფიკას ითვალისწინებს. ეს პროდუქტები ორიენტირებული უნდა იყოს გენდერული პროგრესის ხელშემწყობ ქალ მეწარმეებსა და კომპანიებზე. ეს შეიძლება იყოს სპეციალური სესხები მოქნილი პირობებით, საკრედიტო ხაზები ქალთა მცირე ბიზნესებისთვის, დაზღვევის პროდუქტები, რომლებიც ითვალისწინებს ქალთა ეკონომიკური საქმიანობისთვის დამახასიათებელ რისკებს [9]. საქართველოში ინოვაციური მიდგომის მაგალითია სს მიკრობანკ „კრისტალის“ გენდერული ობლიგაცია [10].

ეფექტიანობის შესაფასებლად საჭიროა **მონაცემთა შეგროვების კარგი პრაქტიკები.** იდეალურ შემთხვევაში, კომპანიებმა მომხმარებელთა მართვის ან საინფორმაციო სისტემებს უნდა დაუმატონ მონაცემთა გენდერულად სპეციფიკური შეგროვების მეთოდი [11]. ეს შეიძლება მოიცავდეს ბიზნესების მფლობელების, მთავარი მენეჯერებისა და თანამშრომლების სქესის მოკვლევას. ასევე, კარგი პირველი ნაბიჯი შეიძლება იყოს არსებულ ყოველწლიურ ანგარიშებში გენდერული მონაცემების ჩართვა. უფრო სიღრმისეული ანალიზისთვის შეიძლება ჩატარდეს გამოკითხვები ან შეიქმნას ქალი თანამშრომლებისა და ბიზნესის მფლობელების ფოკუსჯგუფები [12]. ამგვარი პრაქტიკული მიდგომა ითვალისწინებს კონფიდენციალობის მოთხოვნას და ამავდროულად, ქმნის უფრო მყარ საფუძველს სამომავლო ანალიზისთვის.

საბოლოო ჯამში, GLI-ის კერძო კომპანიების მიერ დანერგვის წარმატება დამოკიდებულია სათანადო **მხარდაჭერაზე.** ეს მოიცავს წვდომას შეფასებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტებზე, ტექნიკურ მხარდაჭერას გენდერულად მგრძნობიარე სტრატეგიისა და პროდუქტების შესაქმნელად და ასევე ქსელებში ჩართულობას, რათა კომპანიებმა, რომლებიც უკვე მუშაობენ GLI მიდგომით, საკუთარი გამოცდილება გაგვიზიარონ. [13]. ამგვარი ქსელები ხელს უწყობს საერთო გაგების ჩამოყალიბებას და გენდერულად მგრძნობიარე ინვესტიციების უფრო ფართოდ დანერგვას.

სქოლიო:

[1] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). თითოეული მიმართულებით განხილული საკითხები. [შეხვედრის ჩანაწერები].

[2] საქართველოს საჯარო ფინანსების მიმოხილვა. (2024). [PDF დოკუმენტი]. მსოფლიო ბანკის ჯგუფი. (გვ. 35).

[3] საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების განახლებული ჩარჩო. (2025). ინვესტორთა საბჭოს/გაეროს ქალთა ორგანიზაციის შეტყობინება. [პრეზენტაციის სლაიდი].

[4] GLI-ის ჩარჩოს პროექტი. (2025). GLI ჩარჩოები: ქალებში ინვესტირება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირების ჩარჩოში. [პრეზენტაციის სლაიდები]. [5] მსოფლიო ბანკი. (2023). ფისკალური რეალობები თანაბარი ზრდისთვის. მსოფლიო ბანკის ჯგუფი. (გვ. 52).

[6] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). თითოეული მიმართულებით განხილული საკითხები. [შეხვედრის ჩანაწერები].

[7] GLI-ის ჩარჩოს პროექტი. GLI-ის დანერგვა. [პრეზენტაციის სლაიდები].

[8] GLI-ის ჩარჩოს პროექტი. (2025). GLI-ის დანერგვა კერძო ვალსა და კაპიტალში. [პრეზენტაციის სლაიდები].

[9] GLI-ის ჩარჩოს პროექტი. (2025). GLI ჩარჩოები: ქალებში ინვესტირება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირების ჩარჩოში. [პრეზენტაციის სლაიდები].

[10] GLI-ის ჩარჩოს პროექტი. (2025). GLI-ის ვალის მაგალითი: გენდერული კავშირები. [პრეზენტაციის სლაიდები].

[11] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). თითოეული მიმართულებით განხილული საკითხები. [შეხვედრის ჩანაწერები].

[12] GLI-ის ჩარჩოს პროექტი. (2025). გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირების მიდგომის დანერგვის გამოწვევები. [პრეზენტაციის სლაიდები].

[13] GLI-ის ჩარჩოს პროექტი. (2025). რეზიუმე. [პრეზენტაციის სლაიდები].

6. ეფექტის შეფასება: GLI-ის მაჩვენებლები საქართველოსთვის

იმისათვის, რომ GLI წარმატებით დაინერგოს რეალურ განვითარებად პრაქტიკად საქართველოში, უკიდურესად მნიშვნელოვანია მისი გავლენის ეფექტიანად გაზომვა. დეტალური მეტრიკა გვეხმარება ანგარიშვალდებულების შენარჩუნებაში და იმის გააზრებაში, რა მუშაობს; ასევე გვაჩვენებს ინვესტირების ღირებულებას, მოსახლეობის ყველა ჯგუფის გათვალისწინებით.

6.1. შეფასების მნიშვნელობა: ანგარიშვალდებულება, სწავლა, ფასეულობის წარმოჩენა

შეფასება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მიზეზით. პირველ რიგში, უზრუნველყოფს **ანგარიშვალდებულებას** ინვესტორის, ინვესტიციების მიმღებთა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიმართ. ასევე იძლევა მკაფიო მტკიცებულებას იმისა, რომ GLI-ის მიზნები ნამდვილად მიიღწევა [1]. ამგვარი გამჭვირვალობა ამყარებს ნდობას და პროექტებისკენ მეტ სახსრებს მოიზიდავს, რომლებიც გვეხმარება გენდერულად მგრძნობიარე მიდგომის განხორციელებაში. მეორე ფაქტორი ისაა, რომ ზემოქმედების რეგულარული გაზომვა სწავლაში გვეხმარება. ეს ინვესტორებსა და პროგრამის განმახორციელებლებს საშუალებას აძლევს გაიგონ, რომელი სტრატეგიები მუშაობს საუკეთესოდ საქართველოს კონტექსტში, ამჟღავნებს მოულოდნელ სირთულეებს, შედეგად კი შესაძლებელი ხდება მიდგომების ადაპტაცია უკეთესი ეფექტის მისაღწევად [2]. ეს არის სწავლის მუდმივი პროცესი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია დროთა განმავლობაში GLI პრაქტიკების გასაუმჯობესებლად. და ბოლოს, საგულდაგულო შეფასება აუცილებელია GLI-ის ღირებულების საჩვენებლად. ეს გვეხმარება განვახორციელოთ გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული დადებითი სოციალური ცვლილებები და გვაძლევს თვალსაჩინო ციფრებს, რაც მნიშვნელოვანია ფინანსური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიმღებთათვის [3]. რეალური ფინანსური თუ სოციალური შედეგების დემონსტრირებით შეფასების შედეგები იძლევა დამაჯერებელ არგუმენტაციას GLI-ის სასარგებლოდ, უფრო მეტ მონაწილეს წაახალისებს ამ მიდგომის გამოსაყენებლად და აქცევს მას სტანდარტულ საინვესტიციო პრაქტიკად.

6.2. საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა: IRIS+ და 2X CHALLENGE კრიტერიუმებთან შესაბამისობა

იმისათვის, რომ საქართველოში GLI-ის ძალისხმევა იყოს თანმიმდევრული, შედარებადი და საერთაშორისოდ რელევანტური, გამოყენებული მეტრიკები უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს. IRIS+, რომელიც გავლენაზე ორიენტირებული გლობალური ქსელის მიერ არის შემუშავებული, გვთავაზობს სოციალური და ეკოლოგიური შედეგების შეფასების დეტალურ სიებს [4]. ქართულ GLI პროექტებში IRIS+-ის გამოყენებით მივიღებთ გავლენის მსოფლიო მასშტაბით გასაგებ ანგარიშებს. IRIS+ გვაძლევს ნაბიჯ-ნაბიჯ პროცესის გეგმას, რათა დავსახოთ ზეგავლენის მიზნები და შევქმნათ მეტრიკები სხვადასხვა ინდუსტრიისათვის/სხვადასხვა თემაზე. ეს არის მოქნილი ინსტრუმენტი საქართველოს ეკონომიკისთვის [5].

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტია 2X Challenge Criteria, რომელიც განსაზღვრავს, რა არის გენდერულად მგრძნობიარე ინვესტირება. ეს კრიტერიუმები შეიმუშავეს განვითარების საფინანსო ინსტიტუტებმა (DFI) და ისინი მოიცავს ქალთა მეწარმეობას, მმართველობას, დასაქმებას, მომხმარებლის ძალას და მიწოდების ჯაჭვის ჩართულობას [6]. ქართული ინვესტიციების 2X კრიტერიუმთან თანხვედრა გვაძლევს გასაგებ სტრუქტურას იმის დასადგენად, თუ რა სახის პროექტები შეიძლება ჩაითვალოს გენდერულად მგრძნობიარედ და ეს ხელს უწყობს სახსრების მოზიდვას პროექტებისთვის, რომლებიც ქალთა ეკონომიკური გაძლიერების გლობალურად აღიარებულ მიზნებს აკმაყოფილებს. კრიტერიუმები შესაძლოა საკმაოდ მკაცრი იყოს და ითხოვდეს ტექნოლოგიურ მხარდაჭერას ბიზნესისთვის, მაგრამ მათი დანერგვა ნიშნავს თავდადებას გენდერულად მგრძნობიარე ინვესტირებისადმი და აადვილებს საერთაშორისო GLI ჯგუფებთან თანამშრომლობას [7].

შენიშვნა: *2X კრიტერიუმები სავალდებულოა* ***აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაციის*** *(DFC) მიერ დაფინანსებული პროექტებისთვის. ბოლო წლებში ამ კომპონენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა DFC-ის საქართველოში განხორციელებულ პროექტებში; მათ შორისაა FedEX-ის ლოგისტიკური ცენტრი და სასტუმრო Rooms Abastumani.*

6.3. შემოთავაზებული საკვანძო მაჩვენებლები საქართველოსთვის

მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკებზე და საქართველოში მონაცემთა შეგროვების მეთოდებზე დაყრდნობით, ქვემოთ მოცემულია GLI ინიციატივებისთვის შემოთავაზებული რამდენიმე ძირითადი მეტრიკა. ეს მეტრიკები, როგორც წესი, შეიძლება გამოიყენებოდეს სხვადასხვა ინდუსტრიებში, ამასთან, გათვალისწინებულია მონაცემთა შეგროვების სიმარტივე. შემუშავებულია საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) ფარგლებში, რომელიც აერთიანებს რომელიც აერთიანებს WEP-ის, Bloomberg GEI-ის, IRIS+-ის და 2X კრიტერიუმების იდეებს [8].

- **ხელმძღვანელობა და მართვა:**
  - **ქალთა რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი დირექტორთა საბჭოში:** ეს მაჩვენებელი ასახავს, თუ რამდენი ქალია დასაქმებული კომპანიებში უმაღლეს მმართველ პოზიციებზე [9].
  - **ქალები უმაღლეს მენეჯმენტში:** ეს მაჩვენებელი აფიქსირებს კომპანიაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მომუშავე ქალთა რაოდენობას [10].
- **სამუშაო ძალა:**
  - **ქალი თანამშრომლები** (ზოგადად და ფუნქციების/დონეების მიხედვით): ეს მაჩვენებელი გვაძლევს სრულ წარმოდგენას სამუშაო ძალაში გენდერული თანასწორობის შესახებ და გამოავლენს, დომინირებს თუ არა რომელიმე სქესი ცალკეულ პოზიციებსა თუ დონეებზე [11]. 2023 წელს სამუშაო ძალაში ქალების საერთო პროცენტული მაჩვენებელი იყო 55.0 %, კაცების 72.8%-თან შედარებით. [12].

- **გენდერული სხვაობა შრომის ანაზღაურებაში (სამიზნე მაჩვენებელი):** ამჟამად აღნიშნული მონაცემების შეგროვება გართულებულია, თუმცა სწორედ ეს მაჩვენებელი ავლენს შრომის ანაზღაურების სხვაობას ქალებსა და კაცებს შორის (მაგ: საათობრივ ანაზღაურებაში საშუალო სხვაობა 2023 წელს იყო 22.2 %)[13], [14]. ეს საზომი უკიდურესად მნიშვნელოვანია შრომის სამართლიანი ანაზღაურებისთვის.
- **გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი პოლიტიკა (მშობლის შვებულება, შევიწროების საწინააღმდეგო პოლიტიკა):** ჩვენ უნდა გავზომოთ, რამდენ კომპანიას აქვს და რამდენი იყენებს ისეთ პოლიტიკას, როგორიცაა მოქნილი სამუშაო გრაფიკი, მშობლის შვებულება და შევიწროების საწინააღმდეგო მკაფიო წესები. ეს აუცილებელია სამართლიანი სამუშაო ადგილების შესაქმნელად [15], [16].

- **ფინანსებზე/მეწარმეობაზე წვდომა:**
  - **ქალების მფლობელობაში არსებულ/მართულ მცირე და საშუალო ბიზნესებზე მიმართული კაპიტალი:** გვაჩვენებს, ინვესტიციების რა ნაწილი მოდის რეალურად ქალების მფლობელობაში არსებულ/ქალთა მიერ მართულ ბიზნესებზე [17].
  - **იმ ქალ მეწარმეთა რაოდენობა, რომლებიც მხარდაჭერას იღებენ:** პირდაპირ მაჩვენებელი, რომელიც გვაჩვენებს ბიზნესების მფლობელი ქალების ან ქალთა მფლობელობაში არსებული ბიზნესების რაოდენობას, რომელთაც ფინანსური ან სხვა ტიპის მხარდაჭერა მიიღეს [18]. 2023 წელს ახალი ბიზნესების მხოლოდ 27 % დააარსეს ქალებმა.[19].
- **პროდუქტები/სერვისები**
  - **შემოსავალი სპეციალურად ქალებსა და გოგონებზე ორიენტირებული პროდუქტებიდან ან ხელმისაწვდომობა ქალების/გოგონებისთვის:** ეს მონაცემი გვაჩვენებს, ბიზნესის შემოსავლის რა ნაწილი მოდის ქალებისა და გოგოების დასახმარებლად შექმნილი პროდუქტებისა და სერვისებიდან ან რამდენ ქალამდე/გოგომდე აღწევს ეს პროდუქტები/სერვისები [20].
- **ღირებულების ჯაჭვი:**
  - **შესყიდვები ქალების საკუთრებაში არსებული ბიზნესებისგან (სამიზნე მაჩვენებელი):** ეს ხელს უწყობს ბიზნესებს, შეიძინონ სასურველი პროდუქტი თუ სერვისი ქალების საკუთრებაში არსებული კომპანიებისგან, რაც ხელს უწყობს ქალი მეწარმეების ქსელის გაფართოებას [21].

6.4. მაჩვენებლების თავისებურებები სექტორების მიხედვით

ძირითადი მაჩვენებლები ზოგად სურათს გვაძლევს, მაგრამ ჩვენ მიერ მოკვლეული ციფრები უნდა მოერგოს სხვადასხვა ინსდუსტრიას. ეს იმითაა განპირობებული, რომ ყოველ სექტორს სპეციფიკური გენდერული სხვაობები, სამუშაო სტრუქტურები და ზემოქმედების ფორმები აქვს. ექსპერტებთან საუბრის შედეგად მკაფიოდ გამოიკვეთა ადაპტირებული მიდგომების აუცილებლობა [22].

- **მშენებლობა:** მშენებლობის სფეროში დასაქმებული ქალების ზოგადი რაოდენობის გარდა, კარგი იქნებოდა, გამოგვეკვლია რამდენი ქალი მუშაობს პოზიციებზე, რომლებიც ტრადიციულა „კაცის საქმედ“ ითვლება (მაგალითად: ინჟინრები და ობიექტის ხელმძღვანელები). ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, დაცულია თუ არა სამშენებლო ობიექტებზე უსაფრთხოების წესები, განსაკუთრებით გენდერული ნიშნით შევიწროების მიმართულებით) [23].
- **ლოგისტიკა:** ამ სფეროს მაჩვენებელი შეიძლება მოიცავდეს ქალი მძღოლებისა და საწყობებში მომუშავე ქალების რაოდენობას. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, დასაქმების ხელმისწვდომი ან გავრცელებული მოქნილი ფორმები, რადგან ეს ქალებს ეხმარება სამსახურეობრივი და საშინაო პასუხისმგებლობების განაწილებაში [24], [25].
- **ენერგეტიკა:** ამ სექტორში მნიშვნელოვანია ტექნიკურ ან საინჟინრო პოზიციებზე დაკავებული ქალების რაოდენობის დადგენა; ასევე – რამდენად მარტივად იღებენ ქალების მიერ მართული ბიზნესები ან ოჯახები სანდო და ხელმისაწვდომ ელექტროენერგიას [26].
- **სოფლის მეურნეობა:** საკვანძო მაჩვენებლები ასახავს ქალების გარანტირებულ წვდომას მიწის მფლობელობაზე, სესხებსა და კონსულტაციებზე მეურნეობის მართვის მიმართულებით, რადგან ქალი ფერმერები ხშირად აწყდებიან შეზღუდვებს ამ სფეროში [27]. ასევე უნდა გავიგოთ, რამდენი

ქალი იყენებს ეკოლოგიურად მდგრად მეთოდებს მეურნეობის მართვისას [28].

- **ტურიზმი:** ტურიზმის სექტორში შეგვიძლია დავადგინოთ ქალების რაოდენობა მმართველ პოზიციებზე, ასევე სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკების არსებობა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმის შეფასება, თუ რა ეკონომიკურ სარგებელს იღებენ ტურიზმის სფეროში მომუშავე ქალები [29].

6.5. გზამკვლევი მონაცემთა შეგროვებისთვის

მონაცემების ხარისხიანი შეგროვება GLI-ის ზეგავლენის სწორად გაზომვის საფუძველია. ეს გულისხმობს ინფორმაციის შეგროვების პრაქტიკული მეთოდების არსებობას, როგორც სახელმწიფო ორგანოების, ისე კერძო სექტორისთვის და გვეხმარება გავრცელებული სირთულეების დაძლევაში.

სახელმწიფო სააგენტოებისთვის პრაქტიკული მეთოდები მოიცავს მონაცემთა შეგროვების არსებული ეროვნული სისტემების (მაგ: საქსტატი) გამოყენებით უფრო დეტალური, გენდერულად სპეციფიკური მონაცემების შეგროვებას დასაქმების, ბიზნესებისა და სხვადასხვა ინსდუსტრიებში ეკონომიკური ჩართულობის შესახებ [30]. თუ გენდერის გათვალისწინებით მონაცემთა შეგროვება წესად დაინერგება სახელმწიფო გრანტების, სესხებისა და შესყიდვების პროცესებისთვის, ეს დაგვეხმარება მძლავრი ეროვნული მონაცემთა ბაზის შექმნაში.

კერძო ბიზნესებისთვის პირველი ნაბიჯი შეიძლება იყოს გენდერული მონაცემების დამატება კლიენტების მართვისა და შიდა საინფორმაციო სისტემებში [31]. ეს შეიძლება მოიცავდეს ბიზნესის მფლობელების, მთავარი მენეჯერებისა და თანამშრომლების სქესის აღრიცხვას. არსებულ ანგარიშებში (მაგ: ყოველწლიური ანგარიშები) გენდერული ინფორმაციის შეტანა ასევე კარგი პირველი ნაბიჯი შეიძლება იყოს. WEP-ის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ჩარჩო კარგი დასაწყისია იმის გასაგებად, თუ რა სახის მონაცემები უნდა შევაგროვოთ და გავაანალიზოთ. უფრო სიღრმისეული ანალიზისთვის ბიზნესებს შეუძლიათ ჩაატარონ გამოკითხვები ან შექმნან ქალი თანამშრომლებისა და ბიზნესის მფლობელების ფოკუსჯგუფები[32].

ისეთი **პრობლემების გადასაჭრელად,** როგორიცაა კონფიდენციალობის დაცვა, არასაკმარისი უნარები ან დიდი დანახარჯები მონაცემთა შეგროვებისას, საჭიროა გონივრული სტრატეგიები. უსაფრთხოების დასაცავად შეგვიძლია მონაცემები გავხადოთ ანონიმური და მივყვეთ წესებს. კომპეტენციის ნაკლებობის აღმოსაფხვრელად შეიძლება სპეციალიზებული ტრენინგების ჩატარება, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის [33]. მონაცემების შემგროვებელ სახელმწიფო სააგენტოებთან (მაგ: საქსტატი) თანამშრომლობამ და საერთაშორისო დაფინანსების მოპოვებამ შესაძლოა შეამციროს რისკები და გაზარდოს მოპოვებული ინფორმაციის ხარისხი [34]. მკაფიო პირველი ნაბიჯების გაწერა უკიდურესად მნიშვნელოვანია პროგრესის გაზომვისთვის და GLI-ის გრძელვადიანი გავლენის აღსაწერად. სანდო საბაზისო მონაცემების გარეშე, რთულია დადგინდეს, ცვლილებები ნამდვილად GLI მეთოდის შედეგია თუ არა.

შენიშვნა: *ამ რეკომენდაციების დანერგვის მხარდასაჭერად გაეროს ქალთა ორგანიზაცია გვთავაზობს სპეციალიზებული ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების ფართო სპექტრს. მათ შორის არის შრომის ანაზღაურებაში გენდერული სხვაობის ლიკვიდაციის სასერტიფიკაციო კურსები, სექსუალური შევიწროების პრევენცია და გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგებისა და ანალიზის უნარები. დამატებით, 2025 წლიდან ხელმისაწვდომი იქნება ტრენინგ პროგრამა გაუცნობიერებული გენდერული წინასწარგანწყობების მიმართულებით.*

სქოლიო:

[1-7] როგორ განვახორციელოთ ინვესტიცია გენდერული ასპექტების გათვალისწინებით: სახელმძღვანელო განვითარებადი ქვეყნების ბაზრების ინვესტორებისთვის. (2020). [ანგარიში]. ქალებში ინვესტირება.

[8] საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების განახლებული ჩარჩო. (2025). საქართველოს ეკონომიკაში გენდერული სხვაობების აღმოფხვრის ჩარჩო: ხუთი სვეტი. [პრეზენტაციის სლაიდი].

[9] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). საბჭოს მრავალფეროვნების შესახებ ანგარიშგების სამოქმედო გეგმა. [შეხვედრის ჩანაწერები].

[10] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). მმართველთა რეპრეზენტაციის ანგარიშგების სამუშაო გეგმა. [შეხვედრის ჩანაწერები].

[11] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). სამუშაო ძალის გენდერული თანაფარდობის ანგარიშგების სამოქმედო გეგმა. [შეხვედრის ჩანაწერები].

[12-14] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024). ქალები და კაცები საქართველოში: სტატისტიკური გამოცემა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (გვ. 67, 77).

[15] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). სვეტი #3 | საქმისა და პირადი ცხოვრების ინტეგრაცია და კეთილდღეობა. [შეხვედრის ჩანაწერები].

[16] საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების განახლებული ჩარჩო. (2025). ნაწილი 3: საქმისა და პირადი ცხოვრების ინტეგრაცია და კეთილდღეობა. [პრეზენტაციის სლაიდი].

[17] საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების განახლებული ჩარჩო. (2025). ნაწილი 4: მეწარმეობა და ეკონომიკური მდგრადობა. [პრეზენტაციის სლაიდი].

[18] საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების განახლებული ჩარჩო. (2025). სვეტი #4 | მეწარმეობა და ეკონომიკური მდგრადობა. [შეხვედრის ჩანაწერები].

[19] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024). ქალები და კაცები საქართველოში: სტატისტიკური გამოცემა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (გვ. 104).

[20] GLI-ის ჩარჩოს პროექტი. (2025). GLI ჩარჩოები: ქალებში ინვესტირება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირების ჩარჩოში. [პრეზენტაციის სლაიდები].

[21] GLI-ის ჩარჩოს პროექტი. GLI-ის დანერგვა. [პრეზენტაციის სლაიდები].

[22] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). თითოეული მიმართულებით განხილული საკითხები. [შეხვედრის ჩანაწერები].

[23-24] საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი). (2021). ქალები და მობილობა: ქალთა ყოველდღიური მოძრაობის გენდერული ასპექტები. [PDF დოკუმენტი]. (გვ. 12-13).

[25] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024). ქალები და კაცები საქართველოში: სტატისტიკური გამოცემა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (გვ. 73).

[26-27] მსოფლიო ბანკი (2025). საქართველოში სამართლიანი ზრდისთვის ფისკალური რეალობების ნავიგაცია, მსოფლიო ბანკის ჯგუფი. (გვ. 51-52).

[27] მსოფლიო ბანკი (2025). საქართველოში სამართლიანი ზრდისთვის ფისკალური რეალობების ნავიგაცია, მსოფლიო ბანკის ჯგუფი. (გვ. 52).

[28] საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი). (2021). ქალები და მობილობა: ქალთა ყოველდღიური მოძრაობის გენდერული ასპექტები. [PDF დოკუმენტი]. (გვ. 4, 12, 14მ 21).

[29] ბ. ჰერცბერგი და ლ. სისომბატი (რედ). (2016). გენდერულად ინფორმირებული საჯარო-პირადი დიალოგი: პრაქტიკული შენიშვნა ქალი მეწარმეების ხმების ინკლუზიის შესახებ. მსოფლიო ბანკი. (გვ. 15).

[30] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024). ქალები და კაცები საქართველოში: სტატისტიკური გამოცემა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (გვ. 88).

[31] GLI-ის ჩარჩოს პროექტი. GLI-ის დანერგვა. [პრეზენტაციის სლაიდები].

[32] სამუშაო შეხვედრის შეჯამება საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩოს (GGIRF) შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შერჩევის კუთხით. (2025). თითოეული მიმართულებით განხილული საკითხები. [შეხვედრის ჩანაწერები].

[33] GLI-ის ჩარჩოს პროექტი. (2025). გენდერული ასპექტების გათვალისწინებით ინვესტირების მიდგომის დანერგვის გამოწვევები. [პრეზენტაციის სლაიდები].

[34] გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების განახლებული ჩარჩო. (2025). ინვესტორთა საბჭოს/გაეროს ქალთა ორგანიზაციის შეტყობინება. [პრეზენტაციის სლაიდები]. საქართველოს

დანართი 1: საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩო (GGIRF)

საქართველოს გენდერულად ინკლუზიური ანგარიშგების ჩარჩო (GGIRF), რომელიც 2025 წლის ივნისში შეიქმნა, შეფასების კომპლექსური ინსტრუმენტია და სპეციალურად არის მორგებული საქართველოს უნიკალურ სოციო-ეკონომიკურ კონტექსტზე. ეს არის სტრატეგიული ინიციატივა, რომელიც მიმართულია გენდერული თანასწორობის მხარდაჭერისკენ და რომლის მიზანიცაა, შექმნას ინკლუზიური საინვესტიციო კლიმატი ქვეყანაში. ყოველივე ეს მიიღწევა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების ინტეგრაციით ლოკალური კონტექსტის სიღრმისეულ ცოდნასთან.

GGRIF-ის მიდგომა პრაგმატულ და შედეგზე ორიენტირებულ სტრატეგიებს ეფუძნება, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ პრიორიტეტებთან და არსებულ პოლიტიკასთან. მისი ძირითადი მიზანია კომპანიებისთვის სპეციფიკური სოციალური მონაცემების გამჭვირვალე გამჟღავნებისა და სისტემატური შეფასების წახალისება, განსაკუთრებით გენდერის მიმართულებით.

ჩარჩო აგებულია ხუთი საკვანძო სვეტის გარშემო, რომელთაგან თითოეულიც მოიცავს ეკონომიკაში გენდერული თანასწორობის უმნიშვნელოვანეს განზომილებას:

- **სვეტი 1: გენდერული სხვაობების დაძლევა**
  - **მიზანი:** სამუშაო ძალის ყველა დონეზე ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა, შრომის ბაზარზე არსებული ინკლუზიის ფუნდამენტური პრობლემების დაძლევა და მმართველობაში თანასწორობის მხარდაჭერა.
  - **შესრულების ძირითადი მაჩვენებლები (KPI) მოიცავს:** სამუშაო ძალის გენდერული თანაფარდობა (დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი); წარმომადგენლობა ხელმძღვანელობაში (მმართველ პოზიციებზე დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი); მრავალფეროვნება დირექტორთა საბჭოში (დირექტორთა საბჭოში ქალების პროცენტული მაჩვენებელი); წარმომადგენლობა აღმასრულებელ ხელმძღვანელობაში (გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი); შრომის ანაზღაურებაში გენდერული სხვაობის აღმოფხვრა (გენდერული ნიშნით არსებული სხვაობის შემცირების პროგრესის პროცენტული მაჩვენებელი).
- **სვეტი 2: სექტორის დივერსიფიკაცია და უნარების განვითარება**
  - **მიზანი:** მაღალი ღირებულების მქონე, განსაკუთრებით STEM და სამრეწველო სფეროებში ქალების ინტეგრაციის ხელშეწყობა, რაც დაემატება უნარების განვითარებაში მიზნობრივ ინვესტირებას.

- **შესრულების ძირითადი მაჩვენებლები (KPI) მოიცავს:** წარმომადგენლობა STEM დარგებში (STEM სექტორებში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი), სამრეწველო სექტორში ჩართულობა (ტრადიციულად კაცების მიერ დომინირებულ სამრეწველო პოზიციებზე დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი), ინვესტიციები განათლებაში (ქალებისთვის STEM-ზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო ინიციატივებში ინვესტირებული თანხა), უნარების განვითარების პროგრამები (მაღალი ღირებულების სექტორებში მიზნობრივი პროფესიული ტრენინგის სერტიფიკატის მქონე ქალების რაოდენობა) და სექტორზე ორიენტირებული ხელფასების სხვაობა (სტრატეგიული მაღალი ღირებულების სექტორებში გენდერული ანაზღაურების თანასწორობის გაზომვა).

- **სვეტი 3: საქმისა და პირადი ცხოვრების ინტეგრაცია და კეთილდღეობა**
  - **მიზანი:** ქალთა ეკონომიკურ მონაწილეობაზე მოქმედი კულტურული ბარიერების გადალახვა მოქნილი სამუშაო გრაფიკისა და უსაფრთხოების გაძლიერებული ზომების ხელშეწყობით, WEP-ის მესამე პრინციპის შესაბამისად.
  - **შესრულების ძირითადი მაჩვენებლები (KPI) მოიცავს:** მოქნილი სამუშაო გრაფიკი (მოქნილი სამუშაო ვარიანტების მქონე დამსაქმებლების პროცენტული მაჩვენებელი), მშობლის შვებულების გამოყენება (მშობლის შვებულების გამოყენების მაჩვენებლები და შვებულების შემდეგ სამსახურში დაბრუნების მაჩვენებლები სქესის მიხედვით) და შევიწროების საწინააღმდეგო ჩარჩო (სექსუალური შევიწროების საწინააღმდეგო ყოვლისმომცველი პოლიტიკისა და სასწავლო პროგრამების მქონე კომპანიების პროცენტული მაჩვენებელი).

- **სვეტი 4: მეწარმეობა და ეკონომიკური მდგრადობა.**
  - **მიზანი:** ქალი მეწარმეებისთვის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული სტრუქტურული ბარიერების გადასალახად, WEP-ის მე-5 პრინციპისა და 2X Challenge კრიტერიმის შესაბამისად.
  - **შესრულების ძირითადი მაჩვენებლები (KPI) მოიცავს:** ქალების საკუთრებაში არსებული ბიზნესები (ქალების საკუთრებაში არსებული ბიზნესების პროცენტული მაჩვენებელი), ქალი დამფუძნებლები (ქალების მიერ დაარსებული ბიზნესების პროცენტული მაჩვენებელი), ფინანსური ინკლუზია (ქალების საკუთრებაში არსებულ და ქალთა მიერ მართულ ბიზნესებზე მიმართული საინვესტიციო კაპიტალის ოდენობა) და კლიმატურად მდგრადი სოფლის მეურნეობა (ქალების მიერ მართული სასოფლო-სამეურნეო ბიზნესების რაოდენობა, რომლებიც კლიმატურად მდგრად პრაქტიკებს ნერგავენ).

- **სვეტი 5: კულტურისა და პოლიტიკის თანხვედრა**
  - **მიზანი:** არსებულ ჩარჩოებთან შესაბამისობისა და პროგრესის ეფექტიანი გაზომვის უზრუნველსაყოფად, WEP-ის მე-6 პრინციპის მხარდაჭერა საზოგადოებრივი მმართველობისა და ჩართულობის შესახებ.
  - **შესრულების ძირითადი მაჩვენებლები (KPI) მოიცავს:** WEP-ის დანერგვა (WEP-ის მხარდაჭერის აღმასრულებელი დირექტორის განცხადებაზე ხელმომწერი კომპანიების რაოდენობა).

GGIRF-ის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის სახელმწიფო უწყებებთან, კერძო სექტორის ორგანიზაციებთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობაზე. შესრულების დადგენილი ძირითადი მაჩვენებლების (KPI) მიხედვით რეგულარული შეფასება უზრუნველყოფს მოქნილ მართვასა და უწყვეტ გაუმჯობესებას, რაც აუცილებელია, რათა განხორციელებული ინიციატივები დროულად რეაგირებდეს საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროცესში წარმოქმნილ ახალ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე.